# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 19 მაისი 2000 №93 (1115) | ფასი 50 თეთრი





თბილისში მეორედ ხართ, უთხრა ბერნდ შუსტერს ჟურნალ „სარბიელის“ კორესპონდენტმა და 21 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა — ინტერვიუ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელთან.

როი კინმა საკუთარ კარშიც კი კაცურად დაარტყა, ამტკიცებს ჟურნალ „სარბიელის“ მიმომხილველი — ჩემპიონთა ლიგა აპრილში.

ინგლისელი ფანები ხიფათს პირველად სტამბოლში როდი გადაეყარნენ — მკვლელობის ამბები, ინგლისელთა ფათერაკების ქრონიკა და უეფას თასი ჟურნალ „სარბიელში“.

სალონიკში ვნახე მწვანე ნეხვი და ერთი უბრალო გენიოსი, გვიამბობს ჟურნალ „სარბიელის“ რეპორტიორი — ევრო ლიგის ოთხთა ფინალი კალათბურთში.


კიდევ ბევრი სხვა და „სხვადასხვა“

ჟურნალ სარბიელის

მესამე, 28-გვერდიან ნომერში, რომელიც ორშაბათიდან იყიდება.

ფასი 2 ლარი




# მადლიერი ბრედა არჩილ არველაძეს ემშვიდობება

*არჩილ არველაძემ წლეულს „ბრედაში“ 21 გოლი გაიტანა, კლუბი ჰოლანდიის პირველ დივიზიონში დააბრუნა და გერმანიას, სახელოვან „კიოლნს“ მიაშურა. ძალიან კი გაუჭირდათ ბრედელებს ჩვენებურთან განშორება, მაგრამ... ბოლოსწინა ტურის მატჩის შემდეგ, როცა „ბრედამ“ პირველ დივიზიონში დაბრუნება გაინაღდა, კლუბის ბულალტერ ქალსაც კი უთხოვია არჩილისთვის, გამომშვიდობების წინ გადაეღოთ ეს ფოტო, რომელმაც ჰოლანდიური გაზეთები მოიარა.*


ინტერვიუ არჩილ არველაძესთან იხილეთ მეოთხე გვერდზე




# თასიც ლაციოსია

წუხელ იტალიის ჩემპიონმა, რომის „ლაციომ“ ქვეყნის თასის ფინალის საპასუხო მატჩში, „სან სიროზე“, „ინტერთან“ 0:0-ით (რომში 2:1 იყო) დუბლი შეასრულა: წინა კვირაში მოპოვებულ „სკუდეტოს“ თასიც დაურთო და „ტორინოს“, „იუვენტუსის“ და „ნაპოლის“ მერე მეოთხე გუნდია, ვისაც დუბლი გაუხერხებია. მსაჯების — ჯანლუკა პაპარესტას და რობერტო როსეტის მიერ დამატებულ დროში მილანელ ალვარო რეკობას ბურთი ძელისთვის რომ არ გაერტყა, „ნერო-აძურები“ გაიხარებდნენ... ამ შეხვედრაში აღსანიშნი ესეც იყო: 52-ე წუთზე ივან სამორანო დიდი ხნის უთამაშებელმა კრისტიან ვიერიმ შეცვალა.

# ნახავს ჯორდანი მუშკუდიანს?

## ქართველი ცენტრი წინასადრაფტო შეკრებაზე




დავით მუშკუდიანი

ქართული კალათბურთის ბოლოდროინდელი წარუმატებლობების ფონზე ეს კარგი და სასიამოვნო ამბავი იქნებ საოცრად, დაუჯერებლადაც გამოჩნდეს.

29-31 მაისს უნგრეთის ქალაქ პეჩში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წინასადრაფტო შეკრება გაიმართება. მასში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ქართველი კალათბურთელი დავით მუშკუდიანი.

მუშკუდიანი 20 წლის და 208-სანტიმეტრიანი ცენტრია. მეორე სეზონია, ბულგარეთშია, სოფიის „აკადემიკის“ ღირსებას იცავს. მანამდე კი, საქართველოს ჩემპიონატში, თბილისის სდასუ-ში თამაშობდა.

შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. მუშკუდიანი ითამაშებს 1978 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა გუნდში, რომელშიც ათი წევრი და ორი სათადარიგოა. მუშკუდიანს პეჩში პარტნიორობას გაუწევენ: ქერემ თუნჩერი (დაბადებული 1979 წელს, უკანა ხაზი, 188 სმ, თურქეთი), სანი ბეჩიროვიჩი (1980, უკანა ხაზი, 193, სლოვენია), რისტე სტეფანოვი (1982, უკანა ხაზი, 190, მაკედონია), სტეფან ნადფეი (1979, ფორვარდი, 201, იუგოსლავია), ფლავიუს ლაპუსტე (1978, ფორვარდი, 201, რუმინეთი), ევალდას იოსისი (1980, ფორვარდი, 203, ლიტვა), ოლუმედი ოიედეჯი (1981, ფორვარდი, 208, ნიგერია), ქაია პეკერი (1980, ცენტრი, 205, თურქეთი), იაკოვოს ცაკალიდისი (1979, ცენტრი, 218, საბერძნეთი). სათადარიგოები: ტომას ვან დენ შპიგელი (1978, ცენტრი, 213, ბელგია), ნიკოლა ვუიჩიჩი (1979, ცენტრი, 210, ხორვატია). გუნდს, რომელშიც დავით მუშკუდიანი ითამაშებს, „დალას მავერიქსის“ წარმომადგენელი ბილ პეტერსონი გაწვრთნის.

წინასადრაფტო შეკრებას ერთადერთი მიზანი აქვს: ნბა-ს მწვრთნელ-მზვერავები უნდა დააკვირდნენ და თავ-თავიანთი გუნდებისთვის შეიგულონ სასურველი მოთამაშეები. შეკრებაში მონაწილეობა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში აყვანის გარანტია არაა, მაგრამ ნბა-ს სპეციალისტების თვალწინ ტრიალი და მათთვის თავის დამახსოვრება, დაგვეთანხმებით, ერთ რამედ ღირს.

წინასწარი ინფორმაციით, პეჩის შეკრებაზე დასწრებას „ვაშინგტონ ვიზარდსის“ პრეზიდენტი, კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანი აპირებს...

## რუმინეთი 71
## საქართველო 69

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გუშინაც დამარცხდა დანიაში, ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში. წინა დღეს ლუქსემბურგთან უიმედოდ წაგებული მატჩისგან განსხვავებით, ჩვენებურებმა ამჯერად წინააღმდეგობის გაწევა მოახერხეს, დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე 5 ქულითაც იგებდნენ. ამის მერე მეტოქეს ორჯერ ბურთი პლუს ჯარიმა ჩაუგდია და ქართველები მდევრად ქცეულან. მატჩის გადარჩენის შანსი კიდევ ყოფილა, მაგრამ უკანასკნელ წამს კოკოლიშვილს სამქულიანი გასცუდებია.

გუშინვე კვიპროსმა 68:65 დაამარცხა ირლანდია, დანიამ 74:60 მოუგო ლუქსემბურგს.

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

12 ტური

# საგიჟეთი

## ტორპედოს ტაში გორში დაუკრავთ

ეს ჩვენი საფეხბურთო კლუბები მთლად გადაირივნენ. ისე მოაწყვეს საქმეები, რომ კაციშვილი ვერაფერს გაარკვევს. პირველ წრეში ფოთის „კოლხეთის" შემყურე აბა, როგორ გაიფიქრებდი, რომ ის გუნდი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდა. ანაც „ბათუმი" ავიღოთ მაგალითად. ამდენი ქულის უგზო-უკვლოდ მფლანგავი ისევ მეორეობაზე რომ იფიქრებდა, ვის ეგონა. „ვიტ ჯორჯია" თუ ასე აურ-დაურევდა ბევრის დაწყობილ გეგმებს, საიდან უნდა გვცოდნოდა.

...და „დინამო". აქამდე უძლეველს და წაუქცეველს საპრიზო ადგილიც რომ სანატრელი ექნებოდა, ამას ყოველმხრივ უკუღმართი ფანტაზიის მქონე ადამიანი თუ მოიგონებდა.

მეთერთმეტე ეროვნულის დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა. ამ ორ ტურში საბოლოოდ დალაგდება ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ დღესაც შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ. „ტორპედო" ჩემპიონია და ამას წყალი არ გაუვა. კი, ბატონო, წინ ორი ტურია და ფეხბურთშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ერთი ქუთაისელებსაც დავეკითხოთ, გაუშვებენ ხელიდან ასეთ შანსს?!

არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება ამას „ტორპედო". მაშინაც კი, თუ რიონმა ალმა იწყო დენა. თავი ვანებოთ ბოლო ტურს, ბოლოსწინაზე ვთქვათ. ხომ ცხადია, რომ დღევანდელი გორის „დილა" ქუთაისელთა გამჩერებელი ვერაა. კი, გორში თამაში ყველას ეძნელება, „დილაც" მეტად უხერხული მეტოქეა, მაგრამ მედალს მუდამ ორი მხარე აქვს. ფეხბურთიც, ყველა მისი სასწაულით, განსაკუთრებულ ლოგიკას ემორჩილება და ამიტომ 23 მაისს ფეხბურთის გორელ ქომაგებს ქუთაისელთა ენით აღუწერელი სიხარულის გაზიარება მოუწევთ. სწორედ იქ დაუკრავენ „ტორპედოს" საჩემპიონო ტაშს. ეკუთვნით და ღმერთმა შეარგოთ!

მანამდე კიდევ დროა და ქუთაისელმა გულშემატკივარმა კიდევ ერთხელ იხილა საყვარელი გუნდის ზეობა. „სიონმა" ვერ შეაჩერა „ტორპედოს" შეტევებს მოყოლილი ზვირთები. 6:1 ყველაფერზე მეტყველებს. მრავლისმთქმელი გამარჯვების გამოჭედვა „ტორპედოს" მომავალმა იმედებმა დაიწყეს. ბობოხიძემ, ასათიანმა და იმედაძემ გაიტანეს, ამას გამოცდილმა და გუნდის უდავო ლიდერმა იონანიძემ თავისი სამიც დაუმატა. ორჯერ სამი კი ექვსია და ქუთაისელებმაც ინამუსეს, თორემ...

ბევრისთვის მოულოდნელად, სუსტად ითამაშა მეორეადგილოსანმა „ვიტ ჯორჯიამ". „ფაზისზე" ვეტერინარებს ვერ იცნობდით. დაბნეული და ყველანაირად შებორკილი იყო სერგო კოტრიკაძის გუნდი. ვეტერინართა აქამდე შეუვალი დაცვა პირველი წუთებიდანვე ნელ-ნელა იშლებოდა. მუდამ მებრძოლი ნახევარდაცვა ძალაგამოლეული გამოიყურებოდა. თავდასხმა ფაქტობრივად უმოქმედო და განიარაღებული გახლდათ.

„კოლხეთი" კი თავის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ატარებდა. თითოეული რგოლის შეთანხმებულმა მოქმედებამ და გამარჯვებისადმი უზომო ლტოლვამ ფოთელთათვის სასურველი შედეგი მოიტანა.

მიეცით ზაველი ღლანიძეს სიხარული საბაბი, მერე შეუშვით მინდორზე და გოლიც გარანტირებულია. გუშინწინ მისი დაბადების დღე იყო და გაიტანა. ცოტა ადრე ქალიშვილი შეეძინა და მაშინაც თანაგუნდელთა გამარჯვებას ზაველის დარტყმამ დაუდო სათავე.

ყველაფერ ამას დაუმატეთ ჯონი შალამბერიძის დიდებული გოლი და ვეტერინართა დამარცხებაც სულ ეგ იყო. მე საქართველოში (სხვაგანაც) არ მეგულება მეკარე, რომელიც ჯონის ამ დარტყმულს წინ აღუდგებოდა. იმ მომენტის მნახველმა ფედერაციის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა გნებავთ, გაოცებისგან, ანაც შეიძლება აღტაცებისგან (რაც გინდათ, ის შეარქვით) ხელები გაშალეს. ის მართლაც დიდი ფეხბურთის ელემენტი იყო.

კაცს (გუნდს) რომ ქვა აღმართში დაგეწევა, მაშინ მართლა ცუდადაა შენი საქმე. სამტრედიისკენ გამგზავრებულ „დინამოს", თითქოს სხვა არაფერი უჭირდეს, ავტობუსი გაუფუჭდა. ვინ იფიქრებდა, თუ მსგავსი რამ „დინამოს" ოდესმე დაემართებოდა.

ამისი ბრალი იყო თუ სხვა რამის, „დინამომ" სამტრედიიდან მხოლოდ ქულაღა წამოიღო და ამჟამად მეოთხე ადგილზეა, მეოთხესა და მერვეს კი ახლა ერთი ფასი აქვს.

ცალკე საუბრის თემაა გაპარტახებული „ეროსი მანჯგალაძე". სტადიონზე, სადაც მინდორი უვარგისია, გასახდელში უკუნი სუფევს და თბილი (ცხელზე არაფერს ვამბობთ) წყალი სანთლით საძებარი, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები რატომ ტარდება, გაუგებარია.

დამნაშავე დაუფიქრებლად იპოვა სამტრედიის გამგებელმა თემურ ყაჭეიშვილმა. მე რა ვიცი, ფეხბურთის ფედერაციას ჰკითხეთო. სულაც არ ტყუოდა ბატონი თემური. ფედერაციას აქამდეც არაერთხელ მართებდა უვარგისი სტადიონის დისკვალიფიკაცია.

„ბათუმს" ევროპისკენ გზა ეხსნება და რა ჩიტია, შანსი ხელიდან გაუშვას. კარნევალის გუნდი თან იგებს, თანაც მწვრთნელი ექსპერიმენტებს აგრძელებს. ისე, ამჟამინდელ „დილასთან" ექსპერიმენტების კეთება კი შეიძლება. მასპინძელთა მიერ ოთხი გატანილი გოლიდან სამი ხომერიკმა ჩაიწერა აქტივში, ერთიც, პენალტიდან მუჯირმა გაიტანა.

„ბათუმი" ამაღლებული განწყობით ეწვევა მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" და პრიზიორთა ბედიც სწორედ ამათი დაპირისპირების შემდეგ გაირკვევა.

„ბ" ზონაში ჯერ ბოლომდე ყველაფერი ცნობილი არ არის. ისევ მეოთხე გავარდნილის ვინაობაა გასარკვევი, მაგრამ რაღაც დასკვნების გაკეთება ახლაც შეიძლება.

წყალტუბოში „სამგურალი" ყოველმხრივ უმოტივაციოდ დარჩენილ „არსენალს" მასპინძლობდა და უფრო მეტად ის აინტერესებდა, რა ხდებოდა სენაკსა და მცხეთაში.

ვერ გამოდგა კარგის მაუწყებლად (რა თქმა უნდა, წყალტუბოელთათვის) მატჩის სათადარიგო არბიტრი მერაბ მალალურაძე. მისი მობილურიდან შემდეგი სიტყვები გაისმა: „მოიგო „გორდამ" და მოიგო თსუ-მ."

სტუდენტებისა და ავჭალელების გამარჯვება „სამგურალის" „დალუპვის" ტოლფასია.

მიუხედავად ამისა, „სამგურალმა" ხუნდაძისა და ქუთათელაძის გოლებით მაინც მოიგო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყალტუბოური გუნდის იმედი ჯერაც ცოცხლობს.

სენაკში ვერავინ დააკავა რუსთაველთა ლიდერი ვარლამ კილასონია. მანაც ნაირნაირი გემოვნების გოლები გაიტანა და რახან სამი ქულა გარანტიერებული იყო, სტუმრებს ერთი რამელა აფიქრებდათ, როგორმე გზაში სწრაფად და შეუფერხებლად ევლოთ, რათა უეფას თასის ფინალისთვის შინ, საკუთარი ტელევიზორებიდან ეცქირათ. სწორედ ამიტომ დაიწყო მატჩი ათი წუთით ადრე.

თსუ-მ „მერანს" აჯობა და მეტადაც დაამწუხრა „სამგურალის" პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე, რომელიც ბევრისთვის გასაკვირად წყალტუბოში კი არა, მცხეთის „არმაზზე" იყო თამაშის სანახავად.

დასაწყისი სტუდენტებს კარგს არაფერს უქადდა. „მერანი", თავიდანვე რომ უპირატესობას ფლობდა, როსტიაშვილის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მერე ორიც გაუშვა და...

„თბილისმა" და „ლოკომოტივმა" ქულები გაიყვეს. სტუმარ-მასპინძლისთვის თამაშს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ რკინიგზელმა ხუროძემ ნერვები მაინც ვერ მოთოკა და წითელი ბარათიც სამართლიანად დაიმსახურა. ეს კი ცეზარს შეიძლება თასის ფინალის გამოტოვებადაც დაუჯდეს.

არა, ნამდვილი საგიჟეთია. გუნდები გვაოცებენ და ერთმანეთსაც დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ. განა ხუმრობა საქმეა, სასწორზე ვერცხლი და ბრინჯაო ძევს. „ბ" ზონაში კი სულაც ნუ იკითხავთ, ისეთი ამბები ტრიალებს...

ტური აშკარად მასპინძლებისა იყო. ხუთი მოგება ერთი მარცხისა და ორი ფრის წინააღმდეგ. 8 თამაშში 25 გოლი სულაც არ არის ურიგო შედეგი.

**მამუკა კვანტალიანი**



ბოლნისელებს პირველმა ტორპედოელმა მიხეილ ბობოხიძემ (№20) გაუტანა



„თბილისის" აღშფოთებული მოთამაშენი არბიტრ მაისურაძეს ემართლებიან

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 24 - იონანიძე | ტორპედო |
| 21 - ვ. კილასონია | გორდა |
| 13 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| 11 - მეგრელაძე | ტორპედო |
| დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 10 - ფუფუნავა | თსუ |
| ვ. ჩიტაია | ხობი |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| ხორგუაშვილი | დილა |
| ფიტაიშვილი | დინამო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი · მეორე ეტაპი · **12 ტური** · უმაღლესი ლიგა

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 12 |
| მატჩი | 48 |
| გოლი | 121 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,52 |
| მასპინძელთა მოგება | 25 (52%) |
| ფრეები | 12 (25%) |
| სტუმართა მოგება | 11 (23%) |
| საერთო დასწრება | 139 500 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 906 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| | | სემ |
|---|---|---|
| **დაჯარიმდა** | | სემ |
| მასპინძელი | 49 | 12,25 |
| სტუმარი | 53 | 13,25 |
| სულ | 102 | 25,50 |
| **კუთხური** | | სემ |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 13 | 3,25 |
| სულ | 32 | 8,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 29 | 7,25 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 43 | 10,75 |
| **კარში დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 23 | 5,75 |
| სტუმარი | 8 | 2,00 |
| სულ | 31 | 7,75 |
| **თამაშგარე** | | სემ |
| მასპინძელი | 22 | 5,50 |
| სტუმარი | 8 | 2,00 |
| სულ | 30 | 7,50 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| | | სემ |
|---|---|---|
| **დაჯარიმდა** | | სემ |
| მასპინძელი | 51 | 12,75 |
| სტუმარი | 48 | 12,00 |
| სულ | 99 | 24,75 |
| **კუთხური** | | სემ |
| მასპინძელი | 31 | 7,75 |
| სტუმარი | 20 | 5,00 |
| სულ | 51 | 12,75 |
| **კარისკენ დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 37 | 9,25 |
| სტუმარი | 31 | 7,75 |
| სულ | 68 | 17,00 |
| **კარში დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 38 | 9,50 |
| სტუმარი | 24 | 6,00 |
| სულ | 62 | 15,50 |
| **თამაშგარე** | | სემ |
| მასპინძელი | 14 | 3,50 |
| სტუმარი | 8 | 2,00 |
| სულ | 22 | 5,50 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 12 |
| მატჩი | 48 |
| გოლი | 117 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,44 |
| მასპინძელთა მოგება | 26 (54%) |
| ფრეები | 7 (14%) |
| სტუმართა მოგება | 15 (32%) |
| საერთო დასწრება | 29 400 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 612 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III,VII: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I,VII,IX,X: 100 |

### კოლხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 23 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 6 | თამაშგარე | 2 |

### ტორპედო 6:1 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 6 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 10 | კარში დარტყმა | 2 |
| 9 | თამაშგარე | 3 |

### ბათუმი 4:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაჯარიმდა | 9 |
| 9 | კუთხური | 0 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### იბერია 0:0 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 15 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 2 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### თსუ 2:1 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 6 | დაჯარიმდა | 11 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 10 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### სამგურალი 2:0 არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 11 |
| 14 | კუთხური | 1 |
| 18 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 14 | კარში დარტყმა | 0 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

### ლოკომოტივი 1:1 თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 14 |
| 10 | კუთხური | 5 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 12 | კარში დარტყმა | 2 |
| 6 | თამაშგარე | 0 |

### ხობი 1:4 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 12 |
| 2 | კუთხური | 11 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 20 |
| 2 | კარში დარტყმა | 17 |
| 2 | თამაშგარე | 3 |

### სიმბოლური ნაკრები

ვარლამ კილასონია *გორდა*
ლევან ხომერიკი *ბათუმი*
მალხაზ ასათიანი *ტორპედო*
ზურაბ იონანიძე *ტორპედო*
ვასილ გიგიაძე *იბერია*
გიორგი გოგიაშვილი *ტორპედო*
ზაზა ლალანიძე *კოლხეთი*
ჯონი შალამბერიძე *კოლხეთი*
ვალერი ტორჩინავა *კოლხეთი*
ბადრი ახვლედიანი *ტორპედო*
სოსო გრიშიკაშვილი *დინამო*

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა *კოლხეთი*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 12 | 7 | 3 | 2 | 33:11 | 22 | 42 | 6 | 5 | 1 | 0 | 22:3 | 19 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 8 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 37 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 12 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 13 |
| 3 | ბათუმი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:8 | 12 | 36 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:2 | 13 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 10 |
| 4 | დინამო | 12 | 3 | 9 | 0 | 11:3 | 8 | 35 | 6 | 2 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 6 | 1 | 5 | 0 | 4:1 | 3 | 8 |
| 5 | კოლხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:8 | 9 | 34 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 16 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 5 |
| 6 | სიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 12:30 | -18 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 7 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:19 | -18 | 0 |
| 7 | იბერია | 12 | 2 | 2 | 8 | 6:27 | -21 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:20 | -17 | 1 |
| 8 | დილა | 12 | 2 | 0 | 10 | 9:27 | -18 | 16 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:19 | -14 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:4 | 15 | 33 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 7 | 12 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:2 | 8 | 12 |
| 10 | მერანი | 12 | 7 | 4 | 1 | 13:4 | 9 | 33 | 6 | 4 | 2 | 0 | 7:0 | 7 | 14 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 11 |
| 11 | თსუ | 12 | 8 | 0 | 4 | 19:11 | 8 | 32 | 6 | 5 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 9 |
| 12 | გორდა | 12 | 7 | 2 | 3 | 22:8 | 14 | 31 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 10 |
| 13 | სამგურალი | 12 | 6 | 3 | 3 | 13:7 | 6 | 27 | 6 | 5 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 15 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 14 | თბილისი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:24 | -15 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 15 | არსენალი | 12 | 3 | 0 | 9 | 11:23 | -13 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:11 | -10 | 0 |
| 16 | ხობი | 12 | 1 | 0 | 11 | 11:36 | -25 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:20 | -10 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 |

# «ა» ზონა

ფოთი
17 მაისი
18 საათი
ფაზისი
3 500 (ტევადობა 6 300)

### კოლხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ლალანიძე (33), 2:0 შალამბერიძე (80)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (ახალკაცი 70), ე. გვასალია, კედელაშვილი, ლალანიძე (შავგულიძე 82); შალამბერიძე
*სათადარიგოები:* მ. გვასალია; პაპავა, კვირკველია, გ. ჩიტაია, ბურჭულაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, თოდუა, კობიაშვილი (ზ. გვაზავა 73), საჯაია, ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (დ. დოლიძე 55), ყიფიანი, კოტორაშვილი (ვ. გოჩაშვილი 46), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, დილმელაშვილი, რ. გოცირიძე
**გაფრთხილება:** ყიფიანი (19), შალამბერიძე (20), გოროზია (42), კობიაშვილი (42), მუჯირი (65), დავითნიძე (68)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ქუთაისი
17 მაისი
18 საათი
ტორპედო
8 000 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 6:1 სიონი

1:0 ბობოხიძე (13), 2:0 ასათიანი (52), 3:0 იონანიძე (59), 3:1 კ. გოგოლაძე (66), 4:1 იმედაძე (70), 5:1, 6:1 იონანიძე (75, 76)
**ტორპედო:** ქანტურია, ახვლედიანი (თავბერიძე 60), მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ასათიანი, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი 46), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (იმედაძე 65), მ. ბობოხიძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ამისულაშვილი
**სიონი:** ვოლკოვი (დალაქიშვილი 54), დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ფ. არჩვაძე (ჩაგელიშვილი 57), ისიანი, ნ. მინდიაშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, სვანიძე
*სათადარიგონი:* მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

ბათუმი
17 მაისი
18 საათი
დინამო
1000 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 4:0 დილა

1:0, 2:0 ხომერიკი (18, 65), 3:0 მუჯირი (723), 4:0 ხომერიკი (82)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, ი. მახარაძე (შ. ხუჯაძე 66), კობიძე (მ. მახარაძე 46), მინდაძე, რომანაძე, თედორაძე (გელა ქორიძე 57), ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; მაჭუტაძე, ქაცარავა, ლონტი
**დილა:** სოლოლაშვილი, კოჭლაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, საყვარელიძე (ხეჩუაშვილი 74), ფეზუაშვილი, ლომიძე, ებანოიძე, ოლგესაშვილი (კარელიძე 80), არუთინიანი, სულხანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; დ. მაისურაძე, თ. ილურიძე
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

სამტრედია
17 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 13 000)

### იბერია 0:0 დინამო

**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე, მუმლაძე, ვ. გიგიაძე, მიქელთაძე, ხურციძე (ლ. ხმალაძე 46), დ. ჯინჭარაძე, კ. ჯანაშია, ს. გიგიაძე (გედენიძე 90), ივეჩიანი, ზ. მეტრეველი (დ. ნოზაძე 46)
*სათადარიგონი:* ჩომახიძე; ოდიკაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი; შაშიაშვილი, დიდავა, ქემოკლიძე, დათუაძე, სიჭინავა (რუხაძე 75), მონასელიძე, ანჩაბაძე, არველაძე, გ. შენგელია, ვაშაკიძე (სახვაძე 29)
*სათადარიგო:* ჩხეიძე
**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (27), სახვაძე (75)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე, გ. მარლიშვილი (ყველა გორი); გ. ასკაროლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

# «ბ» ზონა

მცხეთა
17 მაისი
18 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

### თსუ 2:1 მერანი

0:1 როსტიაშვილი (30), 1:1 ერაძე (34), 2:1 ადამია (54)
**თსუ:** გუგუნავა, ებრალიძე, ინწკირველი, სვანაძე, ადამია, წუწუნავა (ახალაძე 81), დეკანოსიძე, მაზიაშვილი (ლობჟანიძე 87), ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* მერლანი, გ. გოცირიძე, ბ. ნოზაძე, ქადაგიძე, თ. ბოკერია
**მერანი:** ნაჭყეპია, ლურსმანაშვილი, დევიძე, ლ. ამბიძე, კობესაშვილი, ხორხელი, კაკაბაძე (ივანიშვილი 78), ჭინჭარაული, ბოლქვაძე (მელიქია 50), კარიაული, როსტიაშვილი (დავითაშვილი 46)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე, ჯიშკარიანი, კოშკაძე, ლ. თოლორდავა
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. სილაგავა, ო. ხეცაძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

წყალტუბო
17 მაისი
18 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 2:0 არსენალი

1:0 ხუნდაძე (73), 2:0 ქუთათელაძე (75)
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, შველიძე, სუხიაშვილი (ნებიერიძე 84), დარსაძე (კაპანაძე 80), გიორგობიანი, ბერაძე, ბაბუნაშვილი, ხუნდაძე (ფუტკარაძე 78), კვერნაძე, ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე, ჭყონია, ვოსკანოვი, ჯანელიძე
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, მ. შუკაკიძე, ხმალაძე (წოწკოლაური 75), გ. ტულუში, ჩალაძე, კაპანაძე
*სათადარიგონი:* წოწკოლაური, ქოიავა, ა. კაკაშვილი
**გაფრთხილება:** ხუნდაძე (77)
**გაძევება:** ალადაშვილი (58)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალალურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

თბილისი
17 მაისი
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

### ლოკომოტივი 1:1 თბილისი

1:0 ხუროძე (1), 1:1 გადელია (12)
ხუროძემ ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, გ. ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, კვარაცხელია, რუსია (კაციაშვილი 71), დ. გოდერძიშვილი, გოგიჩაიშვილი, ჯულელი (გილაური 31), ხუროძე, ხიზანიშვილი
*სათადარიგონი:* ასლანაძე; სალუქვაძე, ლ. ჩხაიძე, რ. ონიანი, ძოძუაშვილი
**თბილისი:** მამალაძე, დ. ტყებუჩავა, ზვ. ლაბაძე, ბა[illegible], კანდელაკი, ზამთარაძე, ამაშუკელი, ბურდული, ი. შენგელია (კოხრეიძე 77), გონჩაროვი (ლოლაძე 60), გადელია
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ყუფარაძე, სულაქველიძე, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ბურდული (83)
**გაძევება:** ხუროძე (87)
**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

სენაკი
17 მაისი
17.50 საათი
ეგრისი
200 (ტევადობა 3 000)

### ხობი 1:4 გორდა

0:1, 0:2 ვ. კილასონია (26, 58), 1:2 ვ. ჩიტაია (65), 1:3 კილასონია (69), 1:4 ბაჩილავა (86)
**ხობი:** ნიქაბერიძე, აბაკელია, ჯიქია, ვართაგავა, ოდიშარია, ხურცილავა (დ. ჩიტაია 38), ვ. ჩიტაია, ქაშიბაძე (ლატარია 74), ლ. ბუკია, თ. ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი (მ. ბუკია 46)
*სათადარიგონი:* მ. ტყებუჩავა, დანელია, ბერაია
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, პატარიძე (ბაჩილავა 59), გაბელაია, ბექაური (ნიკლაური 87), გ. კილასონია, ვ. კილასონია, ბერიძე, მელაძე (კიტეიშვილი 57), ა. ბუკია, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; სილაგაძე, მ. სახვაძე
**გაფრთხილება:** ვართაგავა (8)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლიერი ბრედა არველაძეს ემშვიდობება

## კეეს ზვამბორნი არჩილს: ხომ აგისრულე, რასაც დაგპირდი...

*არჩილ არველაძე ჰოლანდიის, „ბრედას" საუკეთესო მეტოქის სახელით დაემშვიდობა და გერმანულ, ბუნდესლიგაში აღზევებულ „კიოლნს" მიაშურა. ახალ კლუბთან ჩვენებურმა სამწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, ამასწინდელი ინტერვიუდანაც შეიტყობდით.*

*ამჯერად კი არჩილს, რომელიც ახლა ჰოლანდიაშია და თბილისში წამოსასვლელად ემზადება, ერთი საინტერესო ფაქტის გამო შევეხმიანეთ. საქმე ისაა, რომ არველაძემ „ბრედაში" გამოსამშვიდობებელ მატჩში სულ ნახევარ საათს ითამაშა, გოლიც გაიტანა, 20-ს ერთიც მიამატა, ორი საგოლე პასიც გააკეთა და... თუმცა სჯობს, ყველაფერი მისივე ნათქვამიდან შეიტყოთ.*



ბადრი კოკილაშვილის ფოტო

არჩილ არველაძე

— „კიოლნთან" კონტრაქტის გაფორმების დღესვე ჰოლანდიაში დავბრუნდი. „ბრედას" მწვრთნელმა მთხოვა, ბოლო ტურში, „ეინდჰოვენის" წინააღმდეგაც ითამაშე, ქომაგებს დაემშვიდობე და ჩვენგან თავისუფალი ხარო. თავს ვიკავებდი, არ მინდოდა მოედანზე გასვლა, მაგრამ მწვრთნელს ხათრი ვერ გავუტეხე და ვუთხარი, რამდენიმე წუთი მათამაშე-მეთქი. დამთანხმდა, თუმცა პირველივე ტაიმის დროს მომიტრიალდა, მითხრა, ხალხი შენს გამო შეიკრიბა სტადიონზე, გაიხადე, ითამაშეო. თავი გავაქნიე, ვაგრძნობინე, სიტყვა სიტყვაა-მეთქი.

მერე, შესვენებაზე, კვლავ იგივე გამიმეორა, მეც იგივე ჟესტით ვანიშნე, სიტყვას არ გადასულიყო. შევიდა ზვამბორნი გასახდელში და ხუთიოდ წუთში უკანვე გამობრუნდა. მე მინდორზე ვიყავი. დამიძახა, ერთ-ერთი ფეხბურთელი შეუძლოდ არის, უნდა ითამაშო. რაღა გაეწყობოდა, გავიხადე და... დაიწყო მეორე ტაიმი, ერთი პასი გავაკეთე, თანაგუნდელმა გაიტანა, მერე მეორემ შეაგდო ფლანგიდან ჩემი ჩაწოდებულით, მეოთხე გოლი კი თავად გავიტანე. ეს ყველაფერი დაახლოებით ნახევარ საათში მოხდა და ვხედავ, ზვამბორნი მცვლის, გავვოცდი, რა ხდება-მეთქი, თავს ვკითხე. გავედი მინდვრიდან, ხალხი არენაზე ჩამოვიდა, მკოცნიდნენ, მეხვეოდნენ, მე კი გაკვირვებული ვიყავი, ვერ გამეგო, რატომ გამომცვალა. შემდეგ თავად მომიახლოვდა მწვრთნელი, ხელი გამომიწოდა და მითხრა — რასაც შეგპირდი, შევასრულე, 30 წუთი გათამაშეო. გულიანად გადავიხარხარე და ვუპასუხე, სიტყვის კაცი ხარ-მეთქი. ასე დავშორდი „ბრედას".

**— კეეს ზვამბორნიც შენ არ მოგყვა?**

— ჰო, ისიც წავიდა „ბრედადან". „აიაქსის" ბავშვთა სკოლის დირექტორობა შესთავაზეს და დათანხმდა.

**— შენ როდის უნდა ჩახვიდე კიოლნში?**

— ჯერ თბილისში მოვდივარ. ცოტა ხანს დავისვენებ და მერე შევუერთდები ახალ გუნდს — მომზადებას როგორც კი დაიწყებენ, მაშინვე.

**— „კიოლნის" თამაშზე, დასწრებას რომ აპირებდი...**

— ვიყავი კიდეც კიოლნში. „კარლსრუესთან" წაგებულ თამაშს ვუყურე. გუნდი ბუნდესლიგაში უკვე გადასულია და თავიც არ მოუკლავთ, ისე ითამაშეს. საბოლოოდ 1:2 წააგეს.

**— იმ მატჩის შემხედვარე, რას იტყვი, იოლად შეეწყობი გუნდს?**

— მგონი. მწვრთნელიც ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია. „კარლსრუესთან" თამაშის შემდეგ მითხრა, ცენტრალურ, ერთ აყლაყუდა თავდამსხმელთან შეგაწყვილებ, ოღონდ შენ ოდნავ უკანდახეული იქნებიო. უკვე მოფიქრებული აქვს, რა ადგილზე მათამაშოს.

**— საკუთარი ნომერი უკვე მოგცეს?**

— კი — 11. ისე, ათიანი მერჩივნა, მაგრამ დაკავებული იყო, მისი პატრონი რამდენიმე წელია, „კიოლნში" თამაშობს და თხოვნა მეუხერხულა. №11 კი თავისუფალი დამხვდა.

**— იქნებ ახლა მაინც გვითხრა, „კიოლნის" გარდა რომელ კლუბებში გეპატიჟებოდნენ?**

— ყველაზე მეტს მიონხენგლადბახის „ბორუსია" აქტიურობდა, თითქმის ყოველდღე მირეკავდნენ ჰოლანდიაში და მათთან ჩასვლას მთხოვდნენ. მერე რაღაც პრობლემები შეექმნათ. გერმანელების გარდა კი ესპანეთის „რაიო ვალეკანო" და „სარაგოსა" მეპატიჟებოდნენ. ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ და კონტრაქტი მაშინვე გავაფორმოთო, ორივე გუნდი ერთსა და იმავეს მეუბნებოდა.

ყველაზე რეალური და კარგი წინადადება კი „კიოლნიდან" მივიღე, ცოტა დავფიქრდი და თანხმობა შევუთვალე. მგონი, არ შევმცდარვარ.

ქობა ინასარიძე

# აიაქსი კობიაშვილს უმიზნებს

## ლევანს კი უკვირს, მე არაფერი ვიციო

„ლევან კობიაშვილი „ფრაიბურგის" საუკეთესო ფეხბურთელია. შემთხვევითი არ არის, რომ „კაიზერსლაუტერნს" გადამწყვეტი გოლი სწორედ მან გაუტანა და თავის გუნდს ბუნდესლიგაში ადგილი შეუნარჩუნა. 22 წლის ქართველი ნახევარმცველი წლეულს საუცხოოდ თამაშობს, შეუდარებელია. ბოლო მატჩებში კობიაშვილმა 5 გოლი და 2 საგოლე პასი გააკეთა. მთელ სეზონში კი მხოლოდ ერთი თამაში გამოტოვა — „შტუტგარტთან" 5 ყვითელი ბარათის გამო.

გასაკვირი სულაც არ არის, ტექნიკითა და თამაშის ორგანიზაციის უნარით დაჯილდოებული ფეხბურთელით ბევრი ცნობილი კლუბი რომ არის დაინტერესებული. ჩვენი ინფორმაციით, კობიაშვილის გადაბირება ჰოლანდიისა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს — ამსტერდამის „აიაქსს" სურს. მათი წარმომადგენლები გერმანიაშიც იყვნენ ჩამოსულნი კობიაშვილის თამაშის სანახავად" — ვკითხულობთ გერმანულ სპორტულ გამოცემა „კიკერის" 15 მაისის ნომერში. ჩვენი იქაური კოლეგები ქებას არ აკლებენ ქართველ ფეხბურთელს. ბუნდესლიგის ბოლო ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს ჩვენებური და „კაიზერთან" მისი თამაში 1,5 ბალით შეაფასეს. შეგახსენებთ, „კიკერის" შკალით ფეხბურთელისთვის „1"-იანია ბრწყინვალების ნიშანი.



DPA ფოტოჟურნალიდან

ლევან კობიაშვილის მიერ „კაიზერსლაუტერნის" კარში გატანილმა გოლმა „ფრაიბურგის" ბუნდესლიგაში დარჩენას ბეჭედი დაუსვა

„კიკერის" ამ ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ ჩვენ თავად ლევანს შევეხმიანეთ და ყოველივე გავუმეორეთ, თუმცა მისთვის ეს ამბავი ახალი სულაც არ ყოფილა:

— ვიცი, „კაიზერსლაუტერნთან" მატჩის შემდეგ „კიკერი" რომ გადავფურცლე, ძალიან გაკვირვებული დავრჩი. პირველად სწორედ მაშინ გავიგე „აიაქსის" ინტერესის თაობაზე. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, არც ის, „ფრაიბურგის" მატჩებს ჰოლანდიელები თუ ესწრებოდნენ. ამაზე მეტი რა გითხრათ? კლუბის ხელმძღვანელობას ვკითხე და მხრები აიჩეჩეს, ჯერჯერობით ამგვარი წინადადებით ჩვენთვის არავის მოუმართავსო. თუ ვინმე ჩემით მართლაც არის დაინტერესებული, ალბათ სეზონის დამთავრების შემდეგ გამიმხელენ — გვითხრა ლევანმა.

„კიკერში" რომ ასეთი ინფორმაცია დაიბეჭდა, უკვე მრავლისმეტყველია. ასეთ ამბავს გერმანელები ციდან არ მოიტანდნენ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, ბუნდესლიგის დამთავრებამდე ერთი ტურიღა დარჩა, ლევანი კი ოთხშაბათს თბილისში ჩამოვა.

ქობა ინასარიძე



გიორგი მეგრელაძე

# მეგრელაძე ბალაკოვთან ვარჯიშობს

— შევეცდებით ვარჯიშებისას სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ ამ სამ ფეხბურთელზე და ზუსტი სურათი დავინახოთ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, ვინც გაამართლებს, მას ავიყვანთ — ასეთია გერმანული ბუნდესლიგის „შტუტგარტის" თავკაცის გუშინწინდელი კომენტარი. ჩვენ კი რალფ რანგნიკის აზრი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც იმ სამი ფეხბურთელიდან ერთი ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი გიორგი მეგრელაძეა.

„შტუტგარტში" სამი უცხოელი ისინჯება — ორი ბრაზილიელი და ერთი ქართველი. ქართველი გიორგი მეგრელაძე (ქუთაისის „ტორპედო") და ბრაზილიელი ვალდომირო ფერეირა და კოშტა („იტუანო") თავდამსხმელები არიან, რონალდო და ლიმა („სან პაულუ") კი მცველია. სამივე ფეხბურთელი „არმინიასთან" მატჩამდე „შტუტგარტის" ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშებს" — იტყობინება ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი.

მეგრელაძეს გერმანული კლუბის წარმომადგენელი ამ ცოტა ხნის წინ შეეხმიანა და „შტუტგარტში" გასასინჯად ჩასვლა შესთავაზა. თავდამსხმელს ხელი არც „ტორპედოს" თავკაცმა დავით ყიფიანმა შეუშალა და გიორგი დღეს უკვე მეოთხედ ივარჯიშებს კრასიმირ ბალაკოვის, ზვონიმირ სოლდოს, პაველ კუკას, კრისტიან ლისტეშის, ფრანც ვოლფარტის და სხვათა მხარდამხარ.

„შტუტგარტი" ბუნდესლიგის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე 47 ქულით მერვე ადგილზეა, მაგრამ მეხუთე ადგილზე მყოფ „ჰერტას" ოდენ 3 ქულით ჩამორჩება. ესეცაა, „ჰერტას", „კაიზერსლაუტერნს" და „ვერდერს" შაბათს რთული მატჩები ელით, „შტუტგარტი" კი უკვე გავარდნილ „არმინიას" მასპინძლობს.

„შტუტგარტი" ოთხჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი, სამჯერ თასის მფლობელი და ერთხელ სუპერთასსაც დაეპატრონა. 90-იან წლებში ამ კლუბმა თითოჯერ მოიგო გერმანული ტიტულები, ბოლოს 1997 წელს, თასის მფლობელი რომ გახდა და, გეხსომებათ, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივის" მძლეველი თასების თასის ფინალში „ჩელსისთან" დამარცხდა.

ეს სახელოვანი კლუბი შარშან გაჭირვებით დარჩა ბუნდესლიგაში, წლეულს კი რალფ რანგნიკის ხელმძღვანელობით უკეთესი სეზონი ჰქონდა.

გერმანულ კლუბში მყოფი ქართველი თავდამსხმელი საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლის, მერაბ მეგრელაძის ვაჟია. გიორგის თავის ექვს პირველლიგურ სეზონში „ტორპედოს" შემადგენლობაში 60-მდე გოლი აქვს გატანილი.

21 წლის გიორგი მეგრელაძე ტანმაღალი, ბრძოლისმოყვარე ფეხბურთელია და კარგად თამაშობს მეორე სართულზეც. ვნახოთ, მოუწონებს თუ არა ამ თვისებებს მას „შტუტგარტის" მწვრთნელი, რის შემდეგაც შესაძლო კონტრაქტის დეტალებიც დაზუსტდება.

ვახტანგ გზირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



უეფას თასი. ფინალი
კოპენჰაგენი. 17 მაისი

# ხალხი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია

სიგიჟის ღამის შემდეგ სტამბოლელები აეროპორტისკენ გაეშურენ, თავიანთი გმირების დასახვედრად, გაზეთები კი საერთო განწყობას ომახიანი სათაურებით შეეხმიანენ.

„ასე იწერება ისტორია“ — ამბობს „საბაჰი“ პირველ გვერდზე დიდი ასოებით.

ხოლო ქუჩებში საყვირების კაკაფონია მეფობდა.

კვლავ ციტატა „საბაჰიდან“: „ისინი ათ კაცამდე შეამცირეს, ძალ-ღონე გამოცლილი ჰქონდათ, მაგრამ ახსოვდათ, რომ მათ უკან 65 მილიონი თურქი იდგა. მათ ღირსეულად, ამაყად და რწმენით ჩაამთავრეს შეხვედრა. მათ უეფას თასი თავიანთ ერს უძღვნეს“.

„ჰურიეთი“: „გალათასარაიმ“ წარმოუდგენელი რამ შეძლო.

მაგრამ ზეიმისას სტამბოლელებმა ჰაერში ტყვიის სროლა იციან, რის შედეგადაც საავადმყოფოში ცხრა ადამიანი მიიყვანეს, მათ შორის, სამი წლის ბავშვი. საგულისხმოა, რომ თურქეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბათმანში ორჯერ მეტი მოზეიმე გახდა სამკურნალო.

ლიბერალთა გაზეთი „იენი ბინილი“: „ეკონომიკასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში ვერა, მაგრამ ფეხბურთში ხომ ევროპაში საუკეთესონი ვართ“.

ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, ბულენთ ეჯევითმა კი „გალათასარაის“ მწვრთნელს, ფათიჰ თერიმს პირადად გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც წერია:

„თქვენმა გუნდმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ჩვენი ერისთვის მიუღწეველი არაფერია, თუ საქმეს მეცნიერულად და დისციპლინით მივუდგებით“.




# ჩვენ გვიცავს მათი პოლიცია?

ხუთშაბათს ბრიტანულმა პრესამ დანიურ პოლიციას საშინელი კრიტიკა დაატეხა თავს. ჟურნალისტების აზრით, კოპენჰაგენელმა წესრიგის მცველებმა ინგლისელი და თურქი ქომაგების სისხლიანი შეხლა-შემოხლა თავიდან ვერ აიცილეს. მოგეხსენებათ, „არსენალისა“ და „გალათასარაის“ ფანებმა დანიის დედაქალაქის ცენტრში დიდი ბრძოლა გააჩაღეს სკამების, ბოთლების, დანებისა და რკინის ხელჯოხების გამოყენებით.

დღევანდელი მონაცემებით, დაჭრილია 19 ადამიანი, 42 დააპატიმრეს.

გაზეთი „სტარი“: „კოპენჰაგენი ბრძოლის ველს ჰგავდა. ერთმა მუჭა ხალხმა ფეხბურთს ერთხელაც მოსცხო ჩირქი“.

ბრიტანეთის უდიდესტირაჟიანი ტაბლოიდი „სანი“ პირველ გვერდზე წერდა: „ველურები — მხეცებმა ფეხბურთს ლაფი დაასხეს“.

შემდეგ: „ისინი იქ მკვლელობისთვის ჩავიდნენ“.

„მირორში“ გამოაქვეყნეს ფოტო, რომელზეც დანიანი და ნაჯახის ტარიანი თურქი გულშემატკივარია გამოსახული, ტექსტი კი ასეთი ახლდა: „თურქები საომრად იყვნენ აღჭურვილნი, დანები და ცულები ჰქონდათ“.

აღსანიშნავია, რომ ყველა გაზეთი ერთნაირად აღწერდა დატრიალებულ ამბავს და იმაშიც ერთსულოვანნი იყვნენ, რომ ადგილობრივმა პოლიციამ მოსალოდნელ კონფლიქტს ვერაფერი დაუპირისპირა.

„ბრბოს კონტროლის ექსპერტები პოლიციელებს სიზანტეში ადანაშაულებენ. ისინი ამბობენ, რომ წინა დღეს „არსენალის“ გულშემატკივრის დაჭრის შემდეგ წესრიგის მცველები ყველაფრისთვის უნდა ყოფილიყვნენ მზად“ — ამბობს „სანი“.

ისევ „მირორი“: „და სად იყვნენ პოლიციელები?“

იმავე აზრისაა „დეილი მეილიც“: „პოლიციამ ვერ ივარგა, მთვრალებმა კი ადგილობრივები ჟაზაფრეს“.

„დეილი ექსპრესი“: „აი, ერთხელაც ატყდა დანის ტრიალი და ეგრეთ წოდებული გულშემატკივრების ქცევამ ჩვენს ეროვნულ ფეხბურთს ერთხელაც გაუყარა იგი“.



გუშინდელი „სანის“ პირველი გვერდი: ველურები



# ერისკაცი

ფათიჰ თერიმი, „გალათასარაის“ მწვრთნელი, დღეს ის კაცია, ვინც ერთ სეზონში სამი ჯილდო მოიგო: თურქეთის ჩემპიონის ტიტული, ეროვნული და უეფას თასები.

„გასულ წელს თურქეთში მიწისძვრამ უამრავი ადამიანი იმსხვერპლა და ვგონებ, ჩვენი გამარჯვება ერს სიხარულს დაუბრუნებს. ბედნიერი ვარ. ბედნიერი არიან ფეხბურთელებიც“ — თქვა თერიმმა კოპენჰაგენში ისტორიული გამარჯვების შემდეგ — „საკუთარი ხალხისთვის თუნდაც მცირედის მიცემა ბევრს ნიშნავს. მწამს, დღეს მთელი თურქეთი ჩვენ გვიჭერდა მხარს“.

მწვრთნელი განსაკუთრებით მადლიერი ბრაზილიელი გოლკიპერის, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონის, კლაუდიო ტაფარელისა უნდა იყოს. მან ფინალში საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით დამატებით დროში გამოიჩინა თავი, როდესაც ტიერი ანრის თავურს წარმოუდგენელი რეაქცია შეაგება.

„ვამაყობ და ბედნიერი ვარ, ის რომ ჩემს გუნდში თამაშობს. დღეს მან ზღაპრულად ითამაშა და ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაასახელეს, ღირსი გახლდათ“ — აღნიშნა თერიმმა.

„გალათასარაიმ“ რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად გაიმარჯვა. თან, დამატებითი დროის დასაწყისში სტამბოლელებს ყველაზე სახელოვანი მოთამაშე, გამთამაშებელი გეორგე ჰაჯი გაუძევეს მოედნიდან.

„ჰაჯის კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ის, რაც ჩაიდინა, უტვინო საქციელია. მართალია ეგონა, რომ ადამსი მის წინააღმდეგ წესს არღვევდა და სიფიცხემ დაუარა, მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყო. ისე, მსაჯსაც შეეძლო მეტი ლმობიერება გამოეჩინა.

და მაინც, ამ გაძევებამ ჩვენს გამარჯვებას ჩრდილი ვერ მიაყენა. მეტიც — მან იგი უფრო ღირსეული გახადა, რადგან მთელი 27 წუთი უმცირესობაში ვიყავით. დღეს „გალათასარაიმ“ დაამტკიცა, რომ თურქულ გუნდებს საუკეთესოებთან გაჯიბრება ძალუძთ.

სხვათაშორის, გარდა იმისა, რომ სწორედ ჩვენ გავიმარჯვეთ, იმითაც ვარ კმაყოფილი, რომ თასი ახალი ქვეყნის გუნდმა მოიპოვა. მე თუ მკითხავთ, მოსაბეზრებელია, როდესაც ყოველ წელიწადს ერთი და იგივე გუნდები აღწევენ წარმატებას. ვიმედოვნებ, რომ ახალ ათასწლეულში მცირე ქვეყნები დიდებს მეტ კონკურენციას გაუწევენ და ჯილდოებსაც უფრო ხშირად მოიგებენ“ — დასძინა თერიმმა, რომელსაც თურმე ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გავარდნის შემდეგ გულმა უგრძნო, რომ ტრიუმფის წელიწადი ედგა.

# ვენგერმა მონეტა ვერ დაინახა

არსენ ვენგერი პრესკონფერენციაზე წყრომას გამოხატავდა. მისი აზრით, ესპანელ მსაჯ ანტონიო ლოპეს ნიეტოს პენალტების სერია იმ კარში არ უნდა დაენიშნა, რომლის უკანაც „გალათასარაის“ აგრესიული გულშემატკივრები ისხდნენ. მოგეხსენებათ, კოპენჰაგენში, 17 მაისს, უეფას თასის ფინალური მატჩის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა. მანამდე შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დამთავრდა. დამატებითი დროის უმეტესი ნაწილი სტამბოლელებმა რიცხობრივ უმცირესობაში ითამაშეს, რადგან ლოპეს ნიეტომ ტონი ადამსის წინააღმდეგ მამლაყინწობისთვის „გალათასარაის“ რუმინელი ვარსკვლავი გეორგე ჰაჯი გააძევა.

ვენგერმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ლოპეს ნიეტოს მტკიცება, დამატებითი დროის წინ კარების არჩევა ავტომატურად პენალტების კარის არჩევასაც ნიშნავსო, სიცრუეა: „მე მას ვერაფრით დავეთანხმები. იქნებ მსაჯმა თავისი არგუმენტით მომიგერიოს, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, რომ ეს უსამართლობა იყო“.

ტელეეკრანზეც კარგად გამოჩნდა, როგორ ეკამათებოდა ლონდონელთა კაპიტანი ადამსი ლოპეს ნიეტოს, როდესაც მან ხელი ეკრანისგან მარცხენა კარისკენ გაიშვირა.

ვენგერმა თქვა: „არავის დაუნახავს მონეტა, რომელიც მსაჯს ხელში უნდა სჭეროდა და აეგდო. მან უბრალოდ უთხრა ადამსს, რომ პენალტები იქით უნდა დაერტყათ. ეს იყო და ეს“.

გარდა ამისა, ვენგერმა განაცხადა, რომ დამატებითი დროის დასაწყისში გეორგე ჰაჯის მოედნიდან გაძევება მისი გუნდისთვის დიდი შვება სულაც არ გახლდათ:

„ჰაჯის გაგდებამ მნიშვნელოვანი უპირატესობა როდი მოგვცა. არის სიტუაციები, როდესაც თავის დაცვა ათი ფეხბურთელით სჯობს, რადგან ასეთ დროს ყველა გაათმაგებული ყურადღებითაა. გარდა ამისა, ეს უკვე დამატებითი დრო გახლდათ, ჩვენები დაღლილები იყვნენ და მთელი ენერგიით ვერ შეუტევდნენ, რამეთუ „ოქროს გოლის“ გაშვების საფრთხეც ემუქრებოდათ.

შუკერი მოედანზე იმ იმედით შევიყვანე, რომ ჯერ ერთი, საჯარიმოში მოტრიალე ბურთით ხეირი ეხერხება და მეორეც, პენალტებს კარგად არტყამს. თანაც ბერხკამპი ძირითადი დროის ბოლოს შევცვალე, ოვერმარსს ბარძაყი ატკივდა და თავდასხმაში საჭირო რაოდენობის ხალხი აღარ გროვდებოდა.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ ტაიმში შედარებით სუსტად ვითამაშეთ და საბოლოოდ კარგ გუნდთან დავმარცხდით. მართალია, მეორე ტაიმში უკეთ ვმოძრაობდით, მაგრამ ოპტიმალურ ვარიანტს მაინც ვერ მივაგენით.

საწყენია, „არსენალმა“ ხომ ამ სეზონში ფეხბურთის ასოციაციის თასზე და ლიგის თასზეც პენალტებით წააგო. ახლა მესამე... დამეთანხმებით, ძნელი გადასატანია.

მეორე მხრივ, რომც მოგვეგო, ამით ჩემი გუნდის კლასი და თამაშის ხარისხი არ ამაღლდებოდა. მომავალ სეზონში აუცილებლად უნდა გავაძლიერო შემადგენლობა. შევეცდები თავდამსხმელები — „მარსელიდან“ რობერ პირესი, ხოლო „ლივერპულიდან“ რობი ფაულერი გადმოვიყვანო“.





# პულოსაპ ტოტენჰემს

პენალტებში „გალათასარაიმ“ 4:1 მოიგო. სტამბოლელებმა ოთხივე თერთმეტმეტრიანი გაიტანეს, ლონდონელთაგან კი დავორ შუკერმა და პატრიკ ვიეირამ ძელს გაარტყეს ბურთი. ერთადერთი რეი პარლოუმ მიაღწია მიზანს.

მაგრამ მთავარი ბედნიერება რუმინელ გეორგე პოპესკუს ერგო. „გალათასარაის“ ამ ფეხბურთელმა ბოლო პენალტი დაარტყა და უეფას თასის ისტორიაში ახალი გამარჯვებულის ვინაობა ჩაწერა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, მეტისმეტად ბედნიერი. დარწმუნებული ვარ, ასევე გაუხარდებათ ჩემი ყოფილი გუნდის, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფანებსაც, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ დღეს თურქეთს სიამაყის საბაბი მივეცით. განსაკუთრებით „გალათასარაის“ ქომაგთა ბედნიერება მახარებს. ისინი ამ ზეიმს იმსახურებდნენ“ — განაცხადა პოპესკუმ პრესკონფერენციაზე.

საინტერესოა, რომ „არსენალი“ უკვე მეორედ აგებს ევროთასის ფინალს უპირველესი მტრის, „ტოტენჰემის“ ყოფილი მოთამაშის საბედისწერო გოლით — 1995 წელს „სარაგოსასთან“ სიმენს ექს-ტოტენჰემელმა მაროკოელმა ნაიმმა მოედნის ცენტრიდან გაუტანა.

# დღეს დიდი ზეიმი გაიმართება ლა კორუნიაში თუ ბარსელონაში?

## ესპანეთი

15 მაისი, 1994 წელი. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურმა ქვეყნის ახალი ჩემპიონის ვინაობა უნდა გაარკვიოს. შანსი ორ გუნდს შერჩა. „დეპორტივოს" 55 ქულა აქვს, „ბარსელონას" — 54. ორივე მათგანი შინ თამაშობს, კატალონიელები „სევილიას" მასპინძლობენ, ხოლო გალისიელებმა „ვალენსიას" უნდა გაუმართონ გადამწყვეტი ბრძოლა. „ბარსას" უეჭველად გამარჯვება სჭირდება — იმედი, რომ „დეპორტივო" შინ წააგებს, მცირეა. თავის მხრივ, ლიდერებმაც უნდა მოიგონ, „სევილია" სტუმრად მრისხანე მეტოქეს ვერ დაამარცხებს, ლაკორუნიელებმა ეს იციან. მათ არც ფრე აძლევთ ხელს — ამ შემთხვევაში „დეპორტივო" და „ბარსელონა" ერთნაირ ქულებს დააგროვებენ (მაშინ მოგება ორ ქულად ფასობდა), მაგრამ ურთიერთშეხვედრების შედეგების მიხედვით „ბარსა" ჩემპიონი ხდებოდა.

ბარსელონაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მასპინძლებმა სევილიელები გაანადგურეს — 5:2. ყველაფერი ლა კორუნიაში უნდა გარკვეულიყო. იქ დრო იწურებოდა, ანგარიში კი 0:0 იყო. და ამ დროს „ვალენსიას" კარში პენალტი ინიშნება. ერთი ზუსტი დარტყმაც და „დეპორტივო" თავის 88-წლიან ისტორიაში პირველად იზეიმებს ჩემპიონობას. მიროსლავ ჯუკიჩი ურტყამს და... ანდონი სუბისარეტა იგერიებს — „ბარსელონა" ჩემპიონია.

შესაძლოა დღეს ვიხილოთ ის, რაც ექვსი წლის წინ მოხდა? „ამ დღეს დიდხანს ველოდით და მაშინდელი ამბავი აღარ განმეორდება, ის კოშმარი იყო" — ამბობს ლაკორუნიელთა კაპიტანი ფრანი. ის ექვსი წლის წინაც დეპორტივოელი იყო.

მაშინ „დეპორტივოს" მოგება სჭირდებოდა, დღეს ფრეც ჰყოფნის. თან მეტოქეც არ ჰყავს ისეთი ძლიერი, მით უმეტეს, „ესპანიოლმა" ქვეყნის პირველობაზე უკვე ყველაფერი გაარკვია და მხოლოდ ესპანეთის თასის ფინალზე ფიქრობს. და ისევ ფრანი: „ექვის წელი დიდი დროა. ამ ხნის მანძილზე „დეპორტივო" შეიცვალა. ჩვენ მებრძოლი და გამოცდილი გუნდი ვართ — ჯილდო ხელიდან არ გაგვისხლტება".


REUTERS ბარსელონიდან

ლუის ვან გაალის ბარსელონურ კარიერას საფრთხე ემუქრება

დეპორტივოელები დღევანდელ საღამოს თავდაჯერებულები ხვდებიან. მათ რწმენას სტატისტიკაც ამყარებს. „ესპანიოლი" აქამდე 27-ჯერ ჩასულა ლა კორუნიაში და „რიასორი" გამარჯვებულს მხოლოდ სამჯერ დაუტოვებია და კიდევ, ხავიერ ირურეტა მინდორზე საბრძოლო შემადგენლობას გაიყვანს. მათ შორის იქნება სასჯელმოხდილი ჯალმინიაც, ხოლო სლავიშა იოკანოვიჩი ისევ სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება. გუნდში ერთი ცვლილებაც არის მოსალოდნელი — ვიქტორ სანჩესის ადგილს პაულეტა დაიკავებს. დაშავებულები და დისკვალიფიცირებულები არც „ესპანიოლს" ჰყავს, მაგრამ როგორც ვთქვით, მისი ერთადერთი საზრუნავი თასის ფინალია.

„ბარსელონას" ბედი „დეპორტივოს" ხელშია, მაგრამ... შეძლებს „ბარსა" „სელტას" დამარცხებას"? ეს კითხვა უმიზეზოდ არ დასმულა. დღეს კატალონიელებს ტრავმირებული რივალდო და დისკვალიფიცირებული ლუიშ ფიგუ არ ეყოლებათ. ცხადია, ეს ბარსელონელთათვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ მათ წინააღმდეგ სხვა ფაქტორიც მოქმედებს. ხოსეპ ლუის ნუნიესი სიტყვის კაცი გამოდგა და დაპირება აასრულა — გადადგა. ნუნიესის 22-წლიან მმართველობაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, ახლა კი ვთქვათ, რომ საფრთხე ემუქრება ლუის ვან გაალის შემდგომ „ბარსელონურ" კარიერასაც. უკვე სერიოზულად ფიქრობენ, რომ ნუნიესის მემკვიდრე (ის, ალბათ, ვიცე-პრეზიდენტი ხუან გასპარი გახდება) ჰოლანდიელს კლუბში აღარ გააჩერებს, რითაც კატალონიელთა გულებს მოიგებს. ჰოდა, გუნდში შექმნილი გაურკვეველი ვითარება განა მისი თამაშის ხარისხზე არ იმოქმედებს?

„სელტას" კი [illegible] „ბარსელონაზე" ისტორიული გამარჯვება იზეიმოს. აქამდე ვიგოელებს ბარსელონაში მხოლოდ ერთხელ მოუგიათ. ეს მაშინ მოხდა, როდესაც „კამპ ნოუც" არ იყო აშენებული და „ბარსა" მეტოქეებს ძველ „ლეს კორტსზე" უხვდებოდა — 1942 წელს. თუმცა დღეს „სელტას" დისკვალიფიცირებული ვალერი კარპინი არ ეყოლება.

ჩემპიონობა „სარაგოსასაც" ძალუძს, თუმცა მისი შანსი მეტად მცირეა. ამისთვის მან სტუმრად „ვალენსიას" უნდა მოუგოს, „დეპორტივო" დამარცხდეს და „ბარსა" მაქსიმუმ ფრეს დასჯერდეს. ნაკლებ რეალური ვარიანტია, მით უმეტეს, „ვალენსიაც" არ აპირებს დანებებას. და საერთოდ, საკითხავია, მოხვდება თუ არა „სარაგოსა" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ოთხეულში. სავსებით შესაძლებელია, მის მიღმაც დარჩეს — „რეალიც" და „ალავესიც" ხომ ამ მიზნისთვის იბრძვიან. „რეალი" „ვალიადოლიდს" მასპინძლობს, ხოლო ბასკური „ალავესი" ბასკებისავე „ბილბაოს" გაეჯიბრება. ისიც ცხადია, რომ „რეალი" ან „ვალენსია" გაისად ლიგაში ოთხეულში მოუხვედრელადაც ითამაშებს, მაგრამ წინასწარ ხომ არავინ იცის, ვინ იქნება ჩემპიონთა თასის 2000 წლის ბედნიერი გამარჯვებული?

**გიორგი დარჯანია**

XXXVIII ტური

19 მაისი

| | |
|---|---|
| ბილბაო | ალავესი |
| ბარსელონა | სელტა |
| დეპორტივო | ესპანიოლი |
| რეალი | ვალიადოლიდი |
| მალიორკა | ატლეტიკო |
| ვალენსია | სარაგოსა |

20 მაისი

| | |
|---|---|
| ნუმანსია | ბეტისი |
| მალაგა | რასინგი |
| ოვიედო | სოსიედადი |
| სევილია | რაიო |

## რუსეთი

IX ტური

**როტორი 0:1 ცსკა**
0:1 კულიკი (11)

**ანჟი 4:0 ფაკელი**
1:0 სირხაევი (38), 2:0, 3:0, 4:0 რანჯელოვიჩი (52, 62, 63)

**ნ. ნოვგოროდი 0:2 სპარტაკი**
0:1 ბუზნიკინი (79), 0:2 პისარევი (88)

**დინამო 2:0 კრილია**
1:0 ვორონკოვი (57), 2:0 შტანიუკი (63)

**სატურნი 1:1 ლოკომოტივი**
1:0 ნატალუშკო (5), 1:1 ტერიოხინი (47)

**ჩერნომორეცი 3:1 ურალანი**
1:0 ხნიტკო (21), 2:0 მაიოროვი (62), 3:0 პრიზეტკო (65), 3:1 ჯეფერსონი (82)

**ტორპედო 2:0 ალანია**
1:0 ავაქოვი (24), 2:0 კაზაკოვი (29)

**ზენიტი 0:0 როსტსელმაში**

ჩემპიონატის მე-9 ტური რამდენიმე მიზეზის გამო არის წინამორბედებისგან გამორჩეული. როგორც იქნა, ლიდერი გამოიკვეთა. გეხსომებათ, აქამდე ქულათა თანაბარი რაოდენობით „სპარტაკი" და „ლოკომოტივი" პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ. „სპარტაკმა" მოიგო, რკინიგზელებმა — ვერა და მათ შორის სხვაობა ორი ქულაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსთა „სახალხო გუნდს" ეს გამარჯვება იოლად არ მოუპოვებია. აუტსაიდერ ნიჟნინოვგოროდელებთან შეხვედრაში მოსკოველები დიდ სათამაშო უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ გოლი იგვიანებდა. მატჩის დასრულებამდე მხოლოდ 11 წუთით ადრე მოახერხეს სტუმრებმა გარღატეხის შეტანა.

რაც შეეხება დედაქალაქურ „ლოკომოტივს", ის „სატურნთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ამ შეხვედრაში მთავარი მოვლენა მე-5 წუთზე მოხდა — ერთბაშად ორი რეკორდი დამყარდა. ერთი ის, რომ რუსლან ნიგმატულინს აქამდე 939 წუთის განმავლობაში გოლი არ გაეშვა, რაც ვერც ერთ რუს მეკარეს აქამდე ვერ მოეხერხებინა. მეორეც, ამ გოლის ავტორი სერგეი ნატალუშკო ყველაზე მცხოვანი მეგოლე გახდა. გუშინწინ ის 39 წლის და 246 დღის იყო. აქამდე ყველაზე ასაკოვან გოლის გამტანად იური გავრილოვი ითვლებოდა. როდესაც მან თავისი ბოლო ბურთი შეაგდო, ნატალუშკოზე 109 დღით უმცროსი გახლდათ და ეს ჯერ კიდევ 1992 წელს მოხდა.

და კიდევ ერთი ფაქტის შესახებ. მახაჩყალის „ანჟიმ" შინ ვორონეჟის „ფაკელი" გაანადგურა. ამ მატჩში დაღესტანელთა იუგოსლაველმა ლეგიონერმა პრედრაგ რანჯელოვიჩმა ჰეთ ტრიქი გააკეთა. ეს ამბავი კი იმიტომ არის აღსანიშნავი, რომ სამი გოლი რუსეთის ჩემპიონატში აქამდე არც ერთ უცხოელს არ გაეტანა.

ამ სამი კვირის წინ ვწერდით, რომ ცსკა აღმავლობის გზაზეა და მისი მაშინდელი ბოლოადგილოსნობა დროებითი მოვლენაა. მე-9 ტურში არმიელებმა სტუმრად ვოლგოგრადის „როტორი" დაამარცხეს და რამდენიმე საფეხურით აიწიეს.

კვლავ დამარცხდა „ალანია", თუმცა ამჯერად სამეულში მყოფ „ტორპედოსთან". 9 მატჩიდან ერთი მოგება და ორი ფრე — ვლადიკავკაზელებს საამაყო მეტი არაფერი აქვთ. რომ არა ნიჟნინოვგოროდელთა კიდევ უფრო უსუსური თამაში, ოსებს ბოლო ადგილს ვერავინ „შეეცილებოდა".

ბოლოს კი იმ ინციდენტზეც ვთქვათ, რომელიც „ლოკომოტივი" — „სპარტაკის" შეხვედრას უძღოდა წინ. „ვოლგის" სამშობლოში ჩასული მოსკოველი ქომაგები დილიდანვე სასმელს მიეძალნენ და მაღაზიის ვიტრინების მსხვრევას მიჰყვეს ხელი. ერთმა ნოვგოროდელმა ქალბატონმა კი ფეხი მოიტეხა — ის აღგზნებულ დედაქალაქელებს გაურბოდა და წაიქცა. სულ ნიჟნი ნოვგოროდს 3 ათასამდე სპარტაკელი ფანი ესტუმრა და მათზე მეთვალყურეობა 2 ათას ადგილობრივ მილიციელს ევალებოდა. არიან დაპატიმრებულებიც.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 9 | 8 | 1 | 0 | 20:4 | 25 |
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 12:1 | 23 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10:3 | 18 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 7:5 | 17 |
| ანჟი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 16 |
| ჩერნომორეცი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 |
| სატურნი | 9 | 3 | 3 | 3 | 6:8 | 12 |
| როსტსელმაში | 9 | 2 | 5 | 2 | 6:5 | 11 |
| როტორი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:17 | 11 |
| ფაკელი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | 10 |
| კრილია | 9 | 3 | 0 | 6 | 8:12 | 9 |
| ზენიტი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | 9 |
| ცსკა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| ურალანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:12 | 5 |
| ალანია | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:10 | 4 |


СПОРТ-ЭКСПРЕСС

ტორპედო — ალანია 2:0. ტორპედოელი ვალდის ტრაკისი ალანიელი პაველ ბუგალოს კარს უტევს

# რუსული ფეხბურთი ტელევიზორში

რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთმა ჩინოსანმა დაიჩივლა: „РТР-მა ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლება შვიდ მილიონ დოლარად შეიძინა, როცა ეროვნული ჩემპიონატების შეხვედრებისთვის ერთი მილიონის გაღებაც ენანება. არადა, ამ ორ ტურნირს რუსეთში ერთნაირი სატელევიზიო რეიტინგი აქვს. საოცარია ისიც, რომ ევრო 2000-ის ტრანსლირებით ტელევიზია მოგებას ვერ ნახავს — ამოღებული ფული მხოლოდ დანახარჯებს თუ გაისტუმრებს". მოკლედ, მორალი ასეთია: არ გვინდა ევროპის ჩემპიონატი, გვინდა რუსეთის პირველობა.

მართლაც უცნაური აზრია, ევროპისა და რუსეთის ჩემპიონატები ხალხში ერთნაირ ინტერესს იწვევსო. РТР-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრ აკოპოვს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს. იგი ამბობს: „ტელევიზიის თვალსაზრისით რუსული ფეხბურთი წამგებიანი და უპერსპექტივოა და ასე იქნება მანამ, სანამ რუსეთის სარეკლამო ბაზარი მნიშვნელოვნად არ გაიზრდება — ჩვენ ხომ შემოსავალს სწორედ რეკლამიდან ვიღებთ. დღეს კომპანიებს რუსეთის ჩემპიონატების მატჩების ტრანსლირებისას (თუგინდ „სპარტაკი" თამაშობდეს) საკუთარი რეკლამის გაშვება ხელს არ აძლევთ. მიზეზი მეტად მარტივია: რუსულ ფეხბურთს მაყურებელი არ ჰყავს. არა, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან, ჩვენ კი მთლიანად საზოგადოების ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ. РТР-ზე მდიდარი ტელეკომპანიებიც კი, როგორებიც ОРТ და НТВ არიან, რუსული ფეხბურთის ჩვენებისგან თავს იკავებენ და თითოოროლა მატჩით შემოიფარგლებიან".

აქ აკოპოვმა (ალბათ, მეტი დამაჯერებლობისთვის) კალკულატორი აიღო და ანგარიშს შეუდგა. РТР-ის წლიური ბიუჯეტი 30 მილიონი დოლარია. კომპანიამ ამ თანხით საერთო ჯამში 7300 საათი საეთერო დრო უნდა აითვისოს. საშუალოდ ერთსაათიან გადაცემას 4,5 ათასი დოლარი სჭირდება. ეს საშუალოდ, თორემ დილის სერიალები ათასი დოლარიც ჯდება, ხოლო საუკეთესო დროს ტოპ-გადაცემები 40-50 ათასი.

საფეხბურთო ლიგამ ტელეკომპანიას წელიწადში 4 მილიონი დოლარი მოსთხოვა. მოლაპარაკებების შედეგად ეს თანხა ერთ მილიონამდე დავიდა. მაგრამ რა? ფეხბურთისთვის დათმობილი საათის ღირებულება მაინც ძალიან დიდი თანხა — 13 800 დოლარი გამოდის. РТР-ს ამდენის გადახდა შეუძლია, ოღონდ გადაცემა ამას უნდა იმსახურებდეს.

РТР-ში ასე ანგარიშობენ, ქვეყანაში ჩართული ტელევიზორებიდან 17 პროცენტი РТР-ზეა გადართული. ეს საშუალო მაჩვენებელია. პროგრამა, რომელსაც ამდენი მაყურებელი არ ჰყავს, სახიფათო ზონაშია და მისი მოხსნის დიდი ალბათობა არსებობს. რუსეთის ჩემპიონატის მატჩები? „სპარტაკი" — „ლოკომოტივი" 7-8 პროცენტზე მეტს ვერ აგროვებს.

**გიორგი დარჯანია**

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** გაზეთ „მარკას“ ცნობით, მადრიდის „რეალის“ კაპიტანი ფერნანდო იერო ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს სავარაუდოდ სასტარტოში დაიწყებს. ფეხბურთელმა 22 მარტს ერთობ რთული ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ველარ თამაშობს. მან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩები გამოტოვა. თუ ვისენტე დელ ბოსკე იეროს ძირითადში გაამწესებს, სათადარიგოთა სკამზე ალბათ აიტორ კარანკა აღმოჩნდება. იერომ ვარჯიში 10 დღის წინ განაახლა და არ არის გამორიცხული, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „ვალიადოლიდის“ წინააღმდეგ მატჩში, ბოლო წუთებზე მინდორზეც გამოჩნდეს. სამეფო კლუბს ფინალში ალბათ ნახევარმცველი ხოსე მარია გუტი ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა აპრილის დასაწყისში კოჭი დაიზიანა და „ვალენსიასთან“ მატჩამდე ალბათ ვერ გამოჯანმრთელდება.

**ნიგერიელი ფეხბურთელის ვიქტორ იკპებას მეუღლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. 26 წლის ვიქტორიას წლის დასაწყისში განუკურნებელი სენი შეეყარა, ექიმებმა მას ვერაფერი უშველეს. პაციენტმა სიცოცხლის ბოლო დღეები მონაკოში გაატარა.**

**იტალიის** ჩემპიონი „ლაციო“ „ატლეტიკოს“ ჰოლანდიელი ფორვარდის ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის ყიდვას ცდილობს და მადრიდულ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ 16 მილიონ გირვანქას უხდის. „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონს გამოეთხოვა, ჰასელბაინკი და გუნდის სხვა წამყვანი მოთამაშეები, ალბათ, ახალ კლუბებს მოძებნიან. ჰოლანდიული თავდამსხმელით „მილანი“, „რეალი“, „რომა“, „მონაკო“ და პსჟ-ც არიან დაინტერესებულნი. ესპანური სააგენტოების ცნობით, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილის ვაჟი, იმავდროულად გუნდის ერთ-ერთი მენეჯერი მიგელ ანხელ ხილი, „ვალენსიას“ ხელმძღვანელობას უკვე შეხვდა. ისინი ახლა სატრანსფერო თანხაზე თანხმდებიან.

**გერმანელი მეკარე ჰანს იორგ ბუტი სეზონის ბოლოს სავარაუდოდ „ჰამბურგიდან“ წავა. კლუბის ხელმძღვანელობამ უმალ დაიწყო მისი შემცვლელის ძებნა. ჰამბურგელებმა „რეინჯერსის“ კარის დარაჯ შტეფან კლოსზე შეაჩერეს არჩევანი, რომელიც შოტლანდიაში 18 თვის წინ დორტმუნდის „ბორუსიადან“ 700 ათას გირვანქად გადავიდა.**

**არგენტინელმა** ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ მალე, შესაძლოა „ფიორენტინა“ დატოვოს. ფეხბურთელს, რომელმაც ფლორენციაში თითქმის ცხრა წელი გაატარა, უკვე მრავალი ევროპული გრანდი იწვევს. მათ შორის ყველაზე ხშირად „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ლაციოსა“ და „რომას“ ასახელებენ. ბატისტუტას ახლა „ინტერმაც“ დაადგა თვალი. იტალიური სააგენტო იუწყება, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთელი, შესაძლოა სწორედ მილანში აღმოჩნდეს.

**ჰოლანდიელ მცველ ფრანკ დე ბურს „ბარსელონადან“ წასვლა არ სურს. კატალონიური გრანდი სეზონის ბოლოს, შესაძლოა ლუის ვან გაალმა დატოვოს, მას კი რამდენიმე თანამემამულე ფეხბურთელიც მიჰყვეს. 30 წლის ფრანკი, რომელიც ესპანეთში შარშან ტყუპისცალ რონალდთან ერთად „აიაქსიდან“ გადაბარგდა, აცხადებს: „ბარსელონაში“, ალბათ, დავრჩები, თუ ვან გაალი წავა, მე მას ბედნიერებას ვუსურვებ, მაგრამ არ მივყვები, კატალონიაში თავს კარგად ვგრძნობ. მერწმუნეთ, აქედან წასვლა არასდროს მიფიქრია“.**

**ინგლისელმა** ფორვარდმა ტედი შერინგემმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მოხარული ვარ, რომ ყველაფერი მოგვარდა და გუნდში კიდევ ერთი წელი დავრჩები. „მანჩესტერში“ უკვე სამი სეზონია, ვთამაშობ და უფრო მეტი ტიტულის მოგება მსურს“ — განაცხადა 34 წლის შერინგემმა, რომელიც „მანჩესტერში“ 1997 წელს „ტოტენჰემიდან“ 3,5 მილიონ გირვანქად გადავიდა. გუნდის თავკაცი ალექს ფერგიუსონი ამბობს: „ტედის რამდენიმე დღის წინ პირადად ვესაუბრე. ამ ფაქტმა მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ძლიერ იმოქმედა. კმაყოფილნი ვართ, რომ გუნდს გამოცდილი ფეხბურთელი შევუნარჩუნეთ“.

**ფრანგული „ნანსის“ მთავარი მწვრთნელი ლასლო ბოლონი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მას კონტრაქტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ უსრულდებოდა, მაგრამ გუნდს უმაღლეს დივიზიონში ადგილი ვერ შეუნარჩუნა და პოსტი დატოვა. ბოლონი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, მან ხომ „ნანსიში“ ექვსი წელი იმუშავა. სპეციალისტი მალე ყველაფერზე საჯაროდ საუბარს აპირებს.**

**გერმანელმა** ფორვარდმა ულფ კირსტენმა სეზონის ბოლოს, შესაძლოა „ლევერკუზენი“ დატოვოს და ამერიკას მიაშუროს. 34 წლის ფეხბურთელს, რომელსაც წლეულს გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ძალუძს, აშშ-ის საფეხბურთო ლიგაში თამაში სურს: „მართალია, ამერიკაში გადასვლა მინდა, მაგრამ „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი 2001 წელს მისრულდება, ამიტომ, შესაძლოა გერმანიაში კიდევ ერთი სეზონით დავრჩე. იმას კი ახლავე ვიტყვი, რომ მათეუსის გუნდ „მეტროსტარზში“ არ გადავალ“ — განაცხადა კირსტენმა.

**კამერუნელი მარკ ვივიენ ფოე „ვესტ ჰემიდან“ „ლიონში“ გადაბარგდა. ფრანგულმა კლუბმა „ლანსის“ ყოფილ ნახევარმცველში 11 მილიონი დოლარი გადაიხადა და მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მარტში „ლიონიდან“ „ვესტ ჰემში“ განათხოვრებულმა თავდამსხმელმა ფრედერიკ კანომ კი პრემიერლიგაში დარჩენა ამჯობინა. სატრანსფერო თანხა 7 მილიონი დოლარია.**

**ფრანგი** ნახევარმცველი კრისტიან კარემბუ სეზონის ბოლოს, ალბათ, მადრიდის „რეალს“ დატოვებს. ფეხბურთელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ველარ ხვდება და უკმაყოფილოა. მსოფლიოს ჩემპიონის შეძენა ერთბაშად ორ ინგლისურ გუნდს — „ლივერპულს“ და „მიდლსბროს“ სურს. მათ რიცხვს კი სულ ახლახან „რომაც“ შეემატა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა სატრანსფერო თანხაზე ჯერჯერობით არაფერს იუწყება.

**ესპანელი ნახევარმცველის, ალბერტ სელადესის განცხადებით, თავის ყოფილ კლუბ „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაშის შემდეგ იგი „სელტას“ დატოვებს. სად აპირებს გადასვლას, ჯერჯერობით არ ამხელს. „მომავალი კლუბი უკვე ავირჩიე. მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია შესათანხმებელი. ვიგოში წარმატებული სეზონი ჩავატარე, „სელტას“ კიდევ ერთი გულშემატკივარი შეემატა“ — განუცხადა ფეხბურთელმა ესპანურ მასმედიას.**

**ინგლისური** „ნიუკასლის“ თავკაცის, ბობი რობსონის განცხადებით, მისი გუნდის ხორვატი ნახევარმცველი სილვიო მარიჩი არაპროფესიონალურად მოიქცა: „ნიუკასლი“ შეკრებაზე მიემგზავრებოდა. მარიჩმა იცოდა, რომ უნდა გამოგვყოლოდა, მაგრამ არ გამოცხადდა. აეროპორტში რომ დაიგვიანა, გავოცდით, ნამდვილად მეწყინა და გავბრაზდი. მარიჩს აუცილებლად დავუკავშირდებით. ალბათ, მკაცრადაც დავსჯით“.

# სანტაფელი მოურწმუნე კონსეპსიონიდან

*არგენტინელი ხოსე ანტონიო შამოტი ურუგვაიში დაიბადა და ფეხბურთში თავისით გაიკაფა გზა. თებერვალში ის მადრიდის „ატლეტიკოდან“ „მილანში“ გადავიდა. მილანელებს მისი იტალიაში დაბრუნება 4 მილიონი დოლარი დაუჯდათ, მაგრამ არ უნანიათ, არგენტინის ნაკრების გამოცდილმა მცველმა ახალ გუნდში მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა და ისიც ორი ყვითელი ბარათის გამო.*



ხოსე ანტონიო შამოტმა (მარცხნივ) „ატლეტიკოდან“ დროულად გამოასწრო

**— ხოსე, ფეხბურთში თქვენი პირველი ნაბიჯები გაიხსენეთ.**

— პირველი ნაბიჯები ძმებთან ერთად ურუგვაიში, ენტრა რიოსის პროვინციაში, ქალაქ კონსეპსიონის ერთ პატარა მოედანზე გადავდგი.

**— ვინ გიბიძგათ ფეხბურთელობისკენ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმემ მიბიძგა, თუმცა მამაჩემმა, რომელიც თავის დროზე ბურთით თავს იქცევდა, გავლენა იქონია.

**— მაშ, როდის იგრძენით, რომ ეს თქვენი გზა იყო?**

— როდესაც მშობლიური ქალაქი დავტოვე. ეს რისკი გახლდათ. აბა, სად მქონდა გარანტია, რომ უმაღლეს დონეზე თამაშს შევძლებდი, მაგრამ სანტა ფეს „სან ლორენსოში“ ვცადე ბედი და შემდეგ „როსარიო სენტრალმა“ მიმიწვია. სწორედ მაშინ ვესაუბრე მშობლებს და ჩემი არჩევანი ვაუწყე.

**— მოკლედ, ბედი სასწორზე შეაგდეთ.**

— შევაგდე და ღვთის მადლით, გამიმართლა.

**— გმირი თუ გყავდათ?**

— დანიელ პასარელა. მისი პოზიციის შერჩევის უნარს ვეთაყვანებოდი. კარგად ვიცი, რომ მის სიმაღლეებამდე ბევრი დამაკლდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ის განსაკუთრებული მოთამაშე იყო.

**— ის ლიბერო იყო და თან თამაშის შექმნაში მონაწილეობდა.**

— კიდევ, ბევრი გოლი გაჰქონდა. ერთ სეზონში, „ფიორენტინას“ შემადგენლობაში 10 გოლი გაიტანა.

**— ალბათ, მისი თაობის ვარსკვლავების პლაკატები კედელზე გქონდათ გაკრული.**

— კედელს არგენტინის 1978 და 1986 წლების ნაკრებები მიმშვენებდა.

**— პატარობისას რომელ გუნდს ქომაგობდით?**

— ჩემი ოჯახი „ბოკა ხუნიორსის“ ქომაგებისგან შედგება, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ, როგორც გულშემატკივარი, დიდი ემოციურობით არ გამოვირჩევი.

**— გინდათ, კარიერა „ბოკაში“ დაასრულოთ?**

— მიჯობს, სადაც დავიწყე, იქ მივიდე — „პროვიდენსაში“.

**— ბევრი გითამაშიათ. საყვარელ სტადიონს და მაყურებელს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— ვერ გამოვყოფ. კარიერაში მართლაც ბევრი მინახავს, თუმცა, ბოლოდროინდელი გამოცდილება მკარნახობს, რომ ყველაზე მგზნებარე ფანობა იტალიაში ჰყავთ.

**— რომელი იყო თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი?**

— მერწმუნეთ, იმდენ დიდ თამაშში მიმიღია მონაწილეობა, რომ რომელიმე მათგანი განსაკუთრებით არ მაგონდება.

**— რაც „მილანში“ ხართ?**

— „სან სიროზე“ „იუვენტუსის“ და „ლაციოს“ წინააღმდეგ ნათამაშევი მატჩები.

**— მაშ, რომელი გამარჯვება იყო თქვენთვის უძვირფასესი?**

— საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, როდესაც არგენტინამ ინგლისი დაამარცხა.

**— ნუთუ არასდროს გითამაშიათ შეხვედრაში, რომელსაც სიამოვნებით დაივიწყებდით?**

— იყო ცუდი თამაშებიც, მაგრამ მათი გახსენება არ ღირს.

**— ყველაზე სახიფათო მეტოქედ ვის დაასახელებდით?**

— პირველი, ვინც მახსენდება, ალვარო რეკობაა. რაც მილანში ვარ, მის წინააღმდეგ სამჯერ მომიხდა თამაში და იცით, თუმც უცნაურად მოგეჩვენებათ, გეტყვით, რომ ბატისტუტას ან ვიერის მეურვეობა მიჯობს. ასეთ მოთამაშეებთან უფრო ძალისმიერი დაპირისპირებაა საჭირო, ხოლო რეკობასნაირ მკვირცხლებთან სხვა რამ მოგეთხოვება და მე ეს მიჭირს.

**— დაგვისახელეთ მწვრთნელები, რომელთა მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით ხართ განმსჭვალული.**

— ზდენეკ ზემანი და არიგო საკი. ზემანის ხელმძღვანელობით ახალ სიმაღლეზე ავედი. მან „ფოჯადან“ „ლაციოში“ წამიყვანა და ჩემი ცხოვრების მიმართულებაც შეცვალა. ის უმაღლესი რანგის მწვრთნელი და დიდი პიროვნებაა. იმედი მაქვს, მალე ისევ რომელიმე გუნდში დაიწყებს მუშაობას. საკი კი ბრძენია. მან მადრიდის „ატლეტიკოში“ სერიოზული საძირკველი გაიხარა, მაგრამ იქ იღბალმა გვაქცია ზურგი.

**— იტალიურ ფეხბურთში რა არ მოგწონთ?**

— პოლიტიკა. კლუბებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა ხასიათს მიფუჭებს.

**— ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყავი, რა გზას დაადგებოდით?**

— სწავლას გავაგრძელებდი. დღეს რაიმე დარგში პროფესიონალი უნდა იყო, თორემ ძნელია.

**— საუკეთესოდ რომელ მოგზაურობას იგონებთ?**

— კიდევ კარგი, შინ ხშირად ვახერხებ დაბრუნებას და ყველა მოგზაურობასაც მირჩევნია, შინ, არგენტინაში, სანტა ფეში ჩასვლა. ევროპაში ბევრი წელიწადი გავატარე და ამიტომ სახლს დანატრებული ვარ.

**— შვებულებას სად გაატარებთ?**

— ეს „მილანისა“ და ნაკრების გეგმებზეა დამოკიდებული, თუმც ეჭვი არაა, შინ ჩასვლას მოვახერხებ.

**— თქვენი იდეალური საღამო...**

— შობა და ახალი წლის ღამე. ამ დროს ჩვენ ერთად ვართ და ვინაიდან ეს წელიწადში ერთხელ ხდება, განსაკუთრებულ ელფერს იძენს.

**— როგორ ისვენებთ?**

— შინ ვრჩები. მძინავს.

**— ბედნიერება რაღაა?**

— ღვთის რწმენა, მისი სწავლების თანახმად ცხოვრება. მე ძლიერ რელიგიური გახლავართ და ხსნას ქრისტეში ვეძებ.

**— არადა, რწმენა ფეხბურთელებში მაინცდამაინც არ არის გავრცელებული.**

— ვიცი. ყველას თავის, გზა აქვს.

**— ეკლესიაში დადიხართ?**

— როცა საშუალება მაქვს. სხვა დროს ჩემთვის ვლოცულობ. ეკლესიაში სიარული ლოცვისთვის აუცილებელი არ არის. ღმერთი ყველგანაა.

**— ყველაზე მეტად რა კომპლიმენტი გსიამოვნებთ?**

— როდესაც მეუბნებიან, რომ კარგი პროფესიონალი, მამა და მეუღლე ვარ.

**— მეგობარს რა თვისებები უნდა გამოარჩევდეს?**

— როგორ გითხრათ, ყველა ისე იქცევა, როგორც შეუძლია და გამოუდის. მთავარი ურთიერთპატივისცემაა, დანარჩენი კი თავისით მოვა. ნამდვილ მეგობრობას ვერაფერში გაცვლი.

**— ქალზე რას იტყვით?**

— პატიოსანი უნდა იყოს, ძალიან მომთმენი და მოსიყვარულე.

**— ისეთი, როგორიც თქვენი მეუღლეა?**

— რასაკვირველია. ისეთი, როგორიც მარიელა გახლავთ.

*ცნობისთვის: ხოსე ანტონიო შამოტს ორი შვილი ჰყავს, ოთხი წლის გოგონა ხამი ლი და ერთი წლის ვაჟი კევინალენი.*

თარგმნა
პაპუნა ძედიაშ

## ჰოლანდია

### პლეი ოფი

| A ჯგუფი | | | | | | | B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I ტური | | | | | | | I ტური | | | | | | |
| ჰერაკლესი — ემენი 1:1; მაასტრიხტი — გრონინგენი 1:4 | | | | | | | კამბური — ცვოლე 1:1; როოსენდალი — ექსელსიორი 1:1 | | | | | | |
| გრონინგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | კამბური | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ემენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | ექსელსიორი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰერაკლესი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | როოსენდალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაასტრიხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 | ცვოლე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |

**II ტური**

20.05 ემენი — მაასტრიხტი
21.05 გრონინგენი — ჰერაკლესი

**III ტური**

24.05 ჰერაკლესი — მაასტრიხტი; გრონინგენი — ემენი

**IV ტური**

28.05 ემენი — გრონინგენი; მაასტრიხტი — ჰერაკლესი

**V ტური**

31.05 ჰერაკლესი — გრონინგენი; მაასტრიხტი — ემენი

**VI ტური**

4.06 ემენი — ჰერაკლესი; გრონინგენი — მაასტრიხტი

**B ჯგუფი**

**II ტური**

20.05 ცვოლე — როოსენდალი; ექსელსიორი — კამბური

**III ტური**

23.05 როოსენდალი — კამბური; ცვოლე — ექსელსიორი

**IV ტური**

26.05 ექსელსიორი — ცვოლე; კამბური — როოსენდალი

**V ტური**

30.05 როოსენდალი — ცვოლე; კამბური — ექსელსიორი

**VI ტური**

3.06 ექსელსიორი — როოსენდალი; ცვოლე — კამბური

*ჯგუფებში გამარჯვებულნი ახალი სეზონიდან ჰოლანდიის პირველ დივიზიონში ითამაშებენ*

# დაძაბული მაიკლი

„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი ჟერარ ულიე აცხადებს, რომ მისმა შეგირდმა მაიკლ ოუენმა ერთი წლის წინ მიღებული ორთავა კუნთის ტრავმა სათანადოდ ვერ მოიშუშა და ამას ძლიერ განიცდის. „მაიკლს თავისი ჯანმრთელობა დღემდე ადარდებს, ფსიქოლოგიური სტრესი კი მისი თამაშის ხარისხზეც მოქმედებს. ეს მეც მაწუხებს“ — ამბობს ფრანგი სპეციალისტი.

პროფესორი ფსიქოლოგი ქერი კუპერი ყველაფერს თავისებურად ხსნის. იგი ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევები ხშირია, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ თითქმის ყველა ფეხბურთელს ეწყება დეპრესია:

— ოუენი ოდნავ დაითრგუნა. ეს გამონაკლისი არ გახლავთ. ფეხბურთელები ხანგრძლივ ტრავმას ძალიან განიცდიან. ეშინიათ, ყველაფერი არ განმეორდეს და ამან საბოლოოდ მათ კარიერაზე არ იმოქმედოს. ბევრი სპორტსმენი გვინახავს, რომელმაც ხანგრძლივი ტრავმა მოირჩინა, მინდორს დაუბრუნდა, მაგრამ ძველებურად ველარ თამაშობს. ამ დროს ფიზიოლოგიურზე მეტად ფსიქოლოგიური ფაქტორი მოქმედებს. ტრავმა გაცილებით ადრე მოშუშდება, დათრგუნვილი განწყობილება კი მეტხანს გასტანს. ამას ყველა უნდა მიხვდეს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ფეხბურთელისგან ბევრს ელიან. გარკვეული დროა საჭირო, რათა სპორტსმენმა შიში და იმედგაცრუება დაძლიოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხშირად კარიერის ნაადრევად დასრულების მიზეზი ხდება.

კუპერმა განაცხადა, რომ ჟერარ ულიემ და ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა ოუენის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ფსიქოლოგიური ზეწოლა გადალახოს.

„მაიკლი ათამაშდება და მიხვდება, რომ ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა, მე ამის მჯერა — დასძენს პროფესორი — ამის შემდეგ დაწყნარდება. ყველაფერს მალე დაივიწყებს. ერთსაც აღვნიშნავ, როცა სარეაბილიტაციო პერიოდი დიდხანს ჭიანურდება, ფეხბურთელს კი პროგრესი არ ეტყობა, ეს უკვე მართლაც საგანგაშოა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს მაიკლს არ დაემართება. იგი ახალგაზრდაა და მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვს“.

როგორ უნდა შევუწყოთ ხელი დეპრესიაში ჩავარდნილ ფეხბურთელს? — სვამს კითხვას კუპერი და თავადვე პასუხობს: „მას ბევრი არ უნდა მოვთხოვოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად დავთრგუნავთ. გამოგიტყდებით, პირადად მე, მწამს, რომ მაიკლი მალე დაიბრუნებს ჩვეულ ფორმას და დიდ ფეხბურთს ითამაშებს“.

**ნიკა შუგლაძე**

# ფაბიენ ბარტეზი მონაკოში რჩება

გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ, რომ „მარსელის“ მეკარე სტეფან პორატო თავის ძველ კლუბში, „მონაკოში“ დაბრუნებას აპირებს. ამ ინფორმაციის შემდეგ ხმები დაირხა, რომ საფრანგეთის ჩემპიონთა ამჟამინდელმა კარის დარაჯმა ფაბიენ ბარტეზმა „მონაკოზე“ გული აიყარა და ახალი გუნდის მოძიებას აპირებს. ფრანგი გოლკიპერის უპირველეს მსურველად „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოიხსენიებდნენ.

ეს ინფორმაცია თავად ბარტეზმა უარყო და განაცხადა, რომ „მონაკოში“ დარჩენას გაისადაც აპირებს. „მანჩესტერიდან“ არავინ შემხმიანებია — განაცხადა გოლკიპერმა პრესკონფერენციაზე — შემიძლია დაზუსტებით ვთქვა, რომ „მონაკოში“ მომავალ სეზონშიც დავრჩები. კლუბის დატოვება არც მიცდია.“

საოცარია, მაგრამ ბარტეზის პრესკონფერენციამდე რამდენიმე საათით ადრე ინგლისურმა სააგენტოებმა სრულიად საპირისპირო და გამომრიცხავი ინფორმაცია გაავრცელეს. მათი ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავმჯდომარე მარტინ ედუარდსი მონაკოში ჩავიდა, რათა მეკარის ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ მოეგვარებინა. სამშაბათს გვიან ღამით ედუარდსი „მონაკოს“ თავმჯდომარე ჟან-ლუი კამპორასაც შეხვდა.

იმავე სააგენტოს ცნობით, ინგლისის ჩემპიონმა ფრანგთა ჩემპიონს ბარტეზის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. მოლაპარაკებების დროს ითქვა, რომ შესაძლოა, „მანჩესტერმა“ „მონაკოში“ იტალიელი მეკარე მასიმო ტაიბიც გაუშვას, რომელმაც პრემიერლიგაში დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია.

ინგლისური მასმედია ერთი წლის წინანდელ ამბავსაც იხსენებს. „მანჩესტერიდან“ პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონს სწორედ ბარტეზის შეძენა სურდა, მაგრამ მაშინ მხარეები რატომღაც ვერ შეთანხმდნენ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბარტეზმა განაცხადა: „მონაკოდან“ წასვლა რომ მდომებოდა, კლუბის თავმჯდომარესთან მივიდოდი და ვეტყოდი. ეს მითქმა-მოთქმა მტკნარი სიცრუეა. ამას სერიოზულად არც აღვიქვამ. „მონაკოში“ თავს კარგად ვგრძნობ.“

ბარტეზმა თავის ამჟამინდელ სპორტულ ფორმაზეც ისაუბრა — განვლილ სეზონში ჩავარდნაც მქონდა და აღმავლობაც. ახლა ყველაფერი რიგზეა — განაცხადა მეკარემ და დასძინა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის არ ეშინია — ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა პირადად დამირეკა და მითხრა, რომ გუნდში პსჟ-ს მეკარის ბერნარ ლამას გამოძახება სურს, მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი რიგზეა. ჩემს და ლამას შორის ჯანსაღი კონკურენცია და შეჯიბრია. ლემერი დამპირდა, რომ ევროპის მომავალ ჩემპიონატზე ნაკრების კარს მე დავიცავ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა



სუზან ონილი

# ახალი მადამ ბატერფლაი

მსოფლიო სპორტის ისტორიაში არიან ათლეტები, რომლებსაც სახელი მოუხვეჭიათ არა მარტო ტიტულების მონაგარით, არამედ იმ ფენომენალური შედეგებით, რითაც ამა თუ იმ სახეობამ ევოლუცია განიცადა და თავისი მაჩვენებლით დროს რამდენიმე ათეული წლითაც გაუსწრო.

ათლეტთა უმრავლესობისთვის ასეთი შედეგის არათუ გაუმჯობესება, გამეორებაც კი საოცნებო გამხდარა. ამის დასტურად ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის ბობი ბიმონის მაგალითიც კმარა. მან 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე თავისი გასაოცარი ნახტომით მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (890სმ), რაც 23 წლის განმავლობაში ხელუხლებელი გახლდათ მანამ, სანამ 1991 წლის 30 აგვისტოს მისმა თანამემამულე მაიკლ პაუელმა არ გააუმჯობესა (895სმ).

ეს ამბავი გაგვახსენა მოცურავეთა ავსტრალიის ჩემპიონატზე სუზან ონილის მიერ ოთხშაბათს დამყარებულმა მსოფლიოს რეკორდმა. როგორც ვიუწყებოდით, ონილმა 1981 წლის 13 აგვისტოს ვისკონსინში ამერიკელ მარი ტი მიგერის მიერ 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (2.05,96) დაამხო — 2.05,81. ამით ონილმა ცურვის ისტორიაში ყველაზე რთულად მიჩნეული შედეგი გააუმჯობესა.

— ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ჩემს ცხოვრებაში. ამ შედეგზე დიდი ხანია ვოცნებობდი — განაცხადა ონილმა, რომელსაც ყველა დიდი ტიტული მოუპოვებია, მათ შორის ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონობა. მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, არაერთხელ უთქვამს, რომ იმედგაცრუებული დარჩებოდა , თუ მსოფლიოს რეკორდს ვერ დაამყარებდა.

საინტერესოა, რომ „მადამ ბატერფლაი“ (ასე უწოდებენ მარი ტი მიგერს), რომელსაც 1979:1981 წლებში 100 და 200 მეტრიან დისტანციებზე ბატერფლაით დიდსა თუ პატარა წყლებში არაერთი მსოფლიოს საუკეთესო შედეგი უჩვენებია, ონილის ასეთი წარმატებით აღფრთოვანებულია.

— მშვენიერია, ონილმა ეს მართლაც რომ დიდი შრომის საზღაურად დაიმსახურა. მან შეინარჩუნა ის სიმშვიდე, რომელსაც ბევრი ვერ ახერხებს — განაცხადა მიგერმა.

ღირსეული მემკვიდრის გამოჩენის მიუხედავად, მიგერის სიტყვებში ნაღველიც შეიმჩნეოდა.

— სენტიმენტალურობის გამო გულაჩუყებულიც ვარ, რადგან რეკორდების წიგნში ჩემს სახელს აღარ მოიხსენიებენ — თქვა მიგერმა.

აღსანიშნავია, რომ ონილს აქამდეც გაუუმჯობესებია მიგერის მსოფლიოს რეკორდი. ეს მოხდა შარშან, როდესაც მიგერის მიერ ასევე 1981 წელს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი „პატარა წყალში“, დაამხო.

ახლა, როდესაც ონილმა მიგერის ბოლო მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა, მისი მთავარი საზრუნავი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ტიტულის დაცვაა, ოლიმპიადის შემდეგ კი, როგორც განაცხადა, შესაძლოა სპორტს თავიც დაანებოს.

— ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ ერთხელ გამარჯვება — აი ის, რაც პენსიაში გასვლამდე მსურს. ეს ახლა უფრო იოლი მეჩვენება — თქვა 26 წლის ონილმა.

**გიგა გურასაშვილი**

მძლეოსნობა

# ბაუმანი კანონმა და კბილის პასტამ აზარალა

დიტერ ბაუმანის შრომამ ამაოდ ჩაიარა. ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონმა 5000 მეტრზე რბენაში ნოემბრიდან სირბილის უფლება დაკარგა. მიხვდებოდით, საქმე დოპინგს ეხება. ბაუმანისგან ნანდროლონის გამოყენების ფაქტი ერთობ უცნაურია იმ აგრესიული დამოკიდებულების ფონზე, რასაც მძლეოსანი აკრძალული პრეპარატების მიმართ იჩენდა. ბაუმანი ხომ ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც დოპინგის მომხმარებელთა ჯვარზე გაკვრას მოითხოვდა და ახლა თვითონ გაეხვია შარში. სრულებით არ იკმარა მისმა მტკიცებებმა, სიმუხთლის მსხვერპლი ვარ, ვიღაც უწესომ კბილის პასტაში შემირია დოპინგიო. გამოძიება გრძელდება და ალბათ კარგა ხანსაც გასტანს, რის შემდეგაც გერმანიის მძლეოსნობის ფედერაცია საბოლოოდ დაასკვნის, გაიწიროს თუ არა მძლეოსანი. თუ ჰო, ბაუმანი ორი წელი დაისვენებს, ანუ სამუდამოდაც, რახან 35 უკვე შეუსრულდა.



დიტერ ბაუმანს არ დაუჯერეს

REUTERS

თუმცა ეს ყველაფერი მომავალში მოხდება, ახლა კი ერთი კვირის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ, როცა ბაუმანმა სასამართლოს სთხოვა, სანამ მძლეოსნობის მამები რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, თვის ბოლოს გერმანიის პირველობაზე მარბენინეთ, ფორმის შენარჩუნება მინდაო. უარი მიიღო, რასაც „დაზარალებულის“ აპელაცია და გუშინდელი საბოლოო პასუხი მოჰყვა. კვლავ გაწბილება. სააპელაციო სასამართლომაც უარყო მძლეოსნის აჯა და მას მოთმინება ურჩია. „ეს გადაწყვეტილება ბაუმანისთვის მტკივნეულია, მაგრამ კანონისთვის საამო და მთავარი ესაა“ — შენიშნა გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰელმუტ დიგელმა, როცა მოსამართლემ თავისი საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა და ბაუმანს კინაღამ თვალები ცრემლებით აევსო. სპორტსმენი გულგატეხილი ჩანდა და არც მალავდა ამას. ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, ახლა რას იზამ, შეიძლება სულაც გამართლდე და ვარჯიშის შეწყვეტას ხომ არ აპირებო. „ეს უძნელესი საქმეა ჩემთვის — უპასუხა ყურებჩამოყრილმა ბაუმანმა — საეგებიოდ ვარჯიში და ფორმის შენარჩუნება ფიზიკურად და სულიერადაც ძლიერ გამიჭირდება“. თუმცა ბაუმანი თვლის, რომ ომი ჯერ არ წაუგია, იმედი საბოლოოდ არ დაუკარგავს, ოღონდ ამიერიდან ლოდინის მეტი არაფერი დარჩენია.

ბაუმანის საქმის მიება, როგორც გითხარით, გრძელდება და ამ თვეში ნაღდად არ დასრულდება. მერე კი მძლეოსნობის ფედერაციის უმაღლესი ორგანო შეიყრება და ყველაფერი იქ გადაწყდება.

**დავით გულუა**

კრივი

# ძველი ახალი ჭირი

## მაიკ ტაისონი კვლავ ჯეკ სტროუს ხელშია



ტაისონი: კრივის მესმის, მაგრამ ქალებს ვერ გავუგე ვერაფერი

გაივლის წლები და უკვე პენსიონერი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ მოგონებათა წიგნში ჩაწერს, ვინ გამიმწარა კარიერა და ავლანელმა ტერორისტებმა, კოსოვოელმა ლტოლვილებმა და მაიკ ტაისონმაო.

მაიკ ტაისონი სწორედ ის კაცია, ვინც ბოლო ექვს თვეში მეორედ დაადგა ყელზე ბრიტანეთის ყველაზე სახალხო მინისტრს, რომელიც ქვეყანაში ხალხის შეშვება-არშეშვებას განაგებს. ამერიკის მოქალაქეებს ბრიტანეთში უვიზოდ შესვლა შეუძლიათ, ოღონდ ნასამართლევებს, რომლებთაც წელიწადზე მეტი ჰქონდათ მისჯილი არა.

წინა ჯერზე, სტროუმ გამონაკლისის წესით შეუშვა ქვეყანაში ნაციხარი ტაისონი, რათა მანჩესტერში დაგეგმილი მისი ჯულიუს ფრენსისთან შერკინება არ ჩაეშალა. იმ ბრძოლის ბილეთები ორ საათში გაიყიდა.

და ახლა საქმე ისე აეწყო, რომ ტაისონის ჩხუბი ლუ სავარეზესთან კვლავ ბრიტანეთში, შოტლანდიაში დაიგეგმა. თავიდან მილანში აპირებდნენ, მაგრამ ახლა გლაზგოში გადმოიტანეს, „ჰემპდენის“ ან „პარკჰედის“ სტადიონებზე.

და რა გასაკვირია, რომ ახლა ორი იმდენი ხმაური ატყდა, ვიდრე წინა ჯერზე.

აქ შოტლანდიაა, აქ მთელი ამბავია.

აღარ ვახსენებთ ქალთა ორგანიზაციებს, რომლებიც ტაისონს ურჩხულს უწოდებენ.

გამოკითხულ შოტლანდიელთა ორი მესამედი ტაისონის ბრიტანეთში შესვლის წინააღმდეგია. შოტლანდიის ახალშექმნილ პარლამენტს უფლება არა აქვს ბრიტანეთში შესვლა-გამოსვლის საკითხები გადაწყვიტოს. ინგლისის პარლამენტის 50 წევრმა კი პრემიერს ტაისონის არშემოშვებისკენ მოუწოდა. ტონი ბლეირმა განაცხადა, რომ საქმე ამ ორ კვირაში გაირკვევა. ამასობაში სქოთთა ნაციონალისტური პარტიის ლიდერმა ალექს სალმონდმა განაცხადა: ჩვენი საქმეები გლაზგოში უნდა წყდებოდესო.

ხედავთ, რეების დატრიალება შეუძლია მაიკ ტაისონს?

საქმეს მაინც ისეთი პირი უჩანს, რომ მრავალტანჯული მისტერ სტროუ ყოველივე ამას გადააბიჯებს და მეორედ დაუშვებს გამონაკლისს.

ამასობაში კი ირკვევა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ საქმეში გლაზგოს მერია ყოფილა, რომელმაც ბრძოლის მოწყობის ლიცენზია უნდა გასცეს. იუარებს და გამონაკლისის გამო კამათს აზრი დაეკარგება.

მაიკ ტაისონ, რა ძვირი ხარ, შე...

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

ჩოგბურთი



არნო დი პასკუალე

# წითელი ჭირი

მასტერსის სერია — ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

პიტ სამპრასის ნება რომ ჰყოს, დედამიწაზე ერთ თიხნარის კორტს აღარ დატოვებდა. ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს ამ ნელ და, მისივე სიტყვებით, მარტოსულ საფარზე თამაში ხშირად ნაკვერჩხლებზე ფეხშიშველა სიარულის ასოციაციას უქმნის. თუმცა მავანი ინდოელებისგან განსხვავებით, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს არც მედიტაცია შველის და არც ბევრი ვარჯიში.

ნებისმიერ სხვა კორტზე 21 წლის ცხვირმოუხოცავ არნო დი პასკუალეს პისტოლ პიტი ჩოგნის ხელში აღების დღეს აწყევლინებდა, მაგრამ წითელ მიწაზე ამერიკელის უძლეველობის მითისგან მხოლოდ ზეპირი გადმოცემა თუ რჩება.

სამპრასის სამწუხაროდ, გრძელთმიან ფრანგთან მეორე წრეში შეხვედრის წინ, ჰამბურგში თავსხმა წამოვიდა და ისედაც ნელი საფარი კიდევ უფრო დაამძიმა, პიტს კი გუნება და მოწოდება წაუხდინა.

პასკუალესთვის უკვე დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენდა მრისხანე მეტოქის ყუმბარებთან გამკლავება და მანაც ATP ტურის ყველაზე სასურველი სკალპის ხელში ჩაგდების შანსი აღარ გაუშვა: ორივე სეტის მეშვიდე გეიმში სამპრასს მოწოდება აართვა, თავად უშიშარი და აგრესიული თამაშით უამრავი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და 6:4, 6:4 მოიგო.

„10 წლის წინ, როდესაც მე სულ პატარა ვიყავი, ის უკვე საუკეთესოთა ათეულში იყო. მასთან თამაში და მით უმეტეს, მოგებაც ბევრს ნიშნავს ჩემთვის. შეიძლება გარეგნულად არ მეტყობოდა, მაგრამ მატჩის დასაწყისშიც და თითოეული ხელის ბოლოშიც ძალიან ვნერვიულობდი“ — აღიარა მოგვიანებით ფრანგმა.

პიტს კი ისღა დარჩენია, ჰამბურგში რამდენიმე დღით კიდევ დარჩეს და როლან გაროსისთვის ხეირიანად მოსამზადებლად კოლეგები სპარინგ-პარტნიორობაზე დაითანხმოს.

მეორე წრე: **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:1; **სედრიკ პიოლინი** (4, საფრანგეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (7:5), 6:3; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:1, 3:6, 6:3; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 7:6 (7:3), 6:4; **ალექს კორეტხა** (9, ესპანეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:3, 6:2; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — ლეიტონ ჰიუიტი (10, ავსტრალია) 5:7, 6:3, 6:2; **მარატ საფინი** (12, რუსეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 6:0.

რომის ღია პირველობა. იტალია. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

მეორე წრე: **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:2, 6:1; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) 7:5, 6:3; **ჟული ალარი** (7, საფრანგეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:4, 6:0; **კორინა მორარიუ** (აშშ) — სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) 7:5, 4:6, 6:3; **მაგდალენა გრჟიბოვსკა** (პოლონეთი) — ანკე ჰუბერი (9, გერმანია) 6:4, 6:1.

**ავთანდილ სვანიძე**

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

# საქართველო 71:92 ლუქსემბურგი

17 მაისი. ვაილე. დანია

| საქართველო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბრამიძე | 18 | 0/2 | 0/5 | 1/2 | 2 | 0 | 1 | 2 | 1 |
| ბეჟანიშვილი | 20 | 0/2 | 0/1 | 2/2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ბოისა | 20 | 0/0 | 0/1 | 3/4 | 3 | 1 | 1 | 4 | 3 |
| დავითულიანი | 7 | 0/2 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 5 | 0 |
| გოგობერიშვილი | 24 | 4/5 | 4/13 | 0/0 | 3 | 2 | 2 | 5 | 20 |
| ჯაფარიძე | 1 | 1/2 | 0/0 | 1/1 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ქარაბაკი | 28 | 7/9 | 0/1 | 3/8 | 7 | 0 | 1 | 3 | 17 |
| ხოშტარია | 22 | 2/5 | 1/3 | 1/2 | 1 | 1 | 0 | 3 | 8 |
| კილაძე | 11 | 0/1 | 0/0 | 0/2 | 4 | 0 | 0 | 3 | 0 |
| კოკოლიშვილი | 13 | 0/1 | 1/8 | 1/2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4 |
| ფაჩულია | 21 | 3/8 | 0/0 | 3/4 | 9 | 1 | 0 | 5 | 9 |
| ცქიტიშვილი | 14 | 2/2 | 0/0 | 0/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| სულ | 200 | 19/39 | 6/32 | 15/29 | 37 | 6 | 6 | 32 | 71 |

| ლუქსემბურგი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამი | 25 | 1/3 | 2/2 | 5/6 | 4 | 0 | 2 | 4 | 13 |
| ბევილაკვა | 10 | 0/1 | 0/0 | 3/4 | 2 | 2 | 1 | 2 | 3 |
| ბოვერი | 17 | 0/2 | 0/0 | 2/4 | 1 | 0 | 0 | 4 | 2 |
| დე მარკი | 2 | 0/0 | 0/0 | 3/4 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 |
| დელგადო | 32 | 7/9 | 0/0 | 9/11 | 2 | 6 | 5 | 2 | 23 |
| ფიდერი | 37 | 5/5 | 5/12 | 6/6 | 2 | 0 | 1 | 2 | 31 |
| მაესი | 10 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 3 | 1 | 0 | 4 | 4 |
| შილტცი | 26 | 0/2 | 1/2 | 3/4 | 7 | 3 | 2 | 4 | 6 |
| შმიტცი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვაგნერი | 4 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 |
| ვოლი | 33 | 2/4 | 0/0 | 1/2 | 2 | 2 | 1 | 2 | 5 |
| სულ | 200 | 18/29 | 8/16 | 32/41 | 25 | 14 | 12 | 23 | 92 |

# საქართველოს ნაკრებმა მიზეზების ნაკრების გამო წააგო

გსმენიათ რაიმე ლუქსემბურგულ კალათბურთზე? ვეჭვობ, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, არაფერი გაგიგიათ. ჰოდა, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ამ ქვეყნის ნაკრებთან, არც მეტი, არც ნაკლები, 21 ქულით წააგო.

დანიის ქალაქ ვაილეში ჩვენებურთა მარცხიანი სტარტი ბევრს ჩააფიქრებს, ყველას მწარენარევი ცნობისწადილი გვიკარგავს მოსვენებას: კი, მაგრამ, როგორ მოახერხეს ქართველებმა ლუქსემბურგთან ასე სასტიკად წაგება?

ნამატჩევს ნაკრების თავკაცთაგან ვერც ერთი მოვიხელთეთ. გუშინ ისევ, ვინ იცის, მერამდენედ დავუკავშირდით დანიას და როგორც იქნა... მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე, მართალია, არც ამჯერად დაგვიხვდა ადგილზე, მაგრამ მისი თანაშემწის, ნუგზარ კანდელაკის მონათხრობიც სავსებით საკმარისია, რათა საქართველო — ლუქსემბურგის მატჩზე გარკვეული აზრი შევიქმნათ:

„ბურთი პირველებმა ჩვენ ჩავაგდეთ, მაგრამ შემდეგ მთელი შეხვედრა მეტოქის კარნახით წარიმართა. პირველ ტაიმში ერთხანს 14 ქულით გაგვისწრეს, მეორეში 20-თაც იყვნენ წინ. მერე მოვახერხეთ და 10 ქულამდე შევამცირეთ სხვაობა, მაგრამ გარდამტეხ მომენტში მოწინააღმდეგემ ორჯერ ისეთი პოზიციიდან ჩაგვიგდო, თვითონაც რომ არ ელოდა. საერთოდაც, ბედი აშკარად ლუქსემბურგელთა მხარეს იყო, საიდანაც ისროლეს, ყველა ჩააგდეს, თითქმის არ აუცდენიათ. ჩვენ კი ვერაფრით ვიპოვეთ ჩვენი თამაში. კალათბურთელები საერთოდ არ იყვნენ იშტაზე, ვერ ვიტყვი, რომ პოზიციურად არასწორად მოქმედებდნენ, უბრალოდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში ძალიან ბევრს სცოდავდნენ.

ეს რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ბიჭები ძალიან დაღალა მგზავრობას, გარდა ამისა, ფსიქოლოგიურად დათრგუნულნი იყვნენ, ბევრი მათგანი ხომ ნაკრების დებიუტანტია და ეს ბარიერი ვერაფრით გადალახეს. ერთიცაა, სათანადოდ ნამდვილად ვერ შევაფასეთ მეტოქე, ჩვენი ინფორმაციით, ლუქსემბურგი ტურნირის ყველაზე სუსტი მონაწილე უნდა ყოფილიყო და ასე რომ არ აღმოჩნდა, ამან ჩვენს ბანაკში პანიკა გამოიწვია. ყოველივეს აკლიმატიზაციაც დაერთო. შუაღამისას თამაშს უჩვევ კალათბურთელებს ნახევრად ეძინათ მოედანზე.

მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენ, მწვრთნელებმა, კარგად არ ვიცოდით, კონკრეტულ სიტუაციაში ვის რა შეეძლო. არ იყო გამოკვეთილი გუნდის ძირითადი ბირთვი, რომელსაც დავეყრდნობოდით. ამიტომაც გარკვეულ ექსპერიმენტებს მივმართეთ, უკლებლივ ყველა კალათბურთელი ჩავრთეთ საქმეში, ამან კი მხოლოდ ზიანი მოგვიტანა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში მოწინააღმდეგე ზონურ დაცვას გვეთამაშებოდა, საჭირო იყო, გარედან გაგვეხსნა მათი დაცვა, მაგრამ შორიდან არა და არ წაგვივიდა სროლა. მეტოქემ ეს რომ ნახა, საკუთარი ფარის სიღრმეში შეიკეტა, ამან კი ჩვენი მაღლების აქტიურობა ერთიორად შეამცირა. ვერაფრით შევძელით, თამაში ფარქვეშ გადაგვეტანა.

მატჩის შემდეგ ბიჭებს მკაცრად გავესაუბრეთ, თამაში გავარჩიეთ და დაშვებული შეცდომები გავაანალიზეთ. დილის ვარჯიშზე ძირითადად ზონური დაცვის საწინააღმდეგო მეთოდები და სროლები დავამუშავეთ.

მომდევნო ეტაპზე გაღწევის შანსი, ვფიქრობ, საბოლოოდ არ დაგვიკარგავს. თვალი ვადევნეთ დანარჩენ მოწინააღმდეგეთა თამაშსაც და ვერც ერთზე იტყვი, გამოკვეთილად ძლიერიაო, ყველასთან ძალგვიძს ტოლ-სწორად პაექრობა".

გიორგი ბიკაშვილი


## იყიდება

ერთოთახიანი იზოლირებული ბინა 3 (8).
ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან
აქვს გრძელი აივანი (VI კვ.)
ტელეფონი 30-75-81


# ახალგაზრდა ქართველ მაფიოზს პარტნიორებად ზანგები ურჩევნია



ნიკა ცქიტიშვილი

„ქართული მაფია" — ასე იცნობენ და ეძახი[...] სლოვენიაში ქართულ ლეგიონს. ოთხივე სუ[...] ერთად ვართ, მუდამ ერთად გვხედავენ და [...] მეტსახელიც ალბათ აქედან მოდისო — ასე ამ[...] ხსნა ერთ-ერთმა „მაფიოზთაგანმა" ნიკა ცქიტი[...] ვილმა.

„ცქიტო" — უახლოესი მეგობრები ასე მიმარ[...] თავენ. კალათბურთის ქართველი გულშემატკივა[...] რიც სწორედ ამ სახელით იცნობს სლოვენიურ[...] „სლოვანისა" და საქართველოს ეროვნული ნა[...] რების 211-სანტიმეტრიან ფორვარდ-ცენტრს ნი[...] ცქიტიშვილს...

გამოჩნდა თუ არა, სპეციალისტებმაც უმა[...] აღიარეს, მისი ნიჭი არავის დარჩენია შეუმჩნევე[...] ლი, ცხადი იყო, ცქიტიშვილს საქართველოში დი[...] დხანს არავინ გააჩერებდა.

თითქმის ერთი წლის უნახავ ნიკას კვირას, ვე[...] რის ბაღში შევხვდი. ინტერვიუზე ისე დამთანხმდ[...] არც კი დაფიქრებულა, თუმც ვაღიარებ, შეცდომ[...] დავუშვი იქაურობას რომ არ გავარიდე, „ცქიტოს[...] მონატრებულმა მეგობარ-ახლობლებმა გვარიანა[...] შემიშალეს ხელი პროფესიული სამუშაოს შესრუ[...] ლებაში.

— ერთი სიტყვითაც შეიძლება თქმა, ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვარ, არანაირი პრობლემა არ მაწუხებს, მაქვს ჩინებული სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები, მოკლედ, ჩემს გემოზე ვარ, ამ ერთი წლის წინ ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ არაერთი უცხოური კლუბი გეპატიჟებოდათ, რომლებიც „სლოვანზე" არანაკლებ პირობებს გთავაზობდნენ. მაშ, რაღად გიკვირთ თქვენი დღევანდელი ყოფა?**

— არა, არ მიკვირს, უბრალოდ, სანამ საკუთარი თვალით ვნახავდი, ეს ყოველივე წარმოუდგენელი იყო ჩემთვის.

**— მაინც რა ნახეთ ასეთი?**

— ელემენტარულს გეტყვით, სლოვენიაში კალათბურთისადმი სრულიად სხვანაირი მიდგომაა. იქაური ვარჯიშები პირველად რომ ვნახე, ვიფიქრე კალათბურთთან რა საერთო მაქვს-მეთქი. არ გატყუებთ, ანი-ბანიდან დაგვაწყებინეს სწავლა.

**— არა მგონია, სლოვენიელებს თქვენთვის კონტრაქტი ბრმად გაეფორმებინათ. ესე იგი, რაღაც პერსპექტივას ხედავდნენ თქვენში...**

— ეგ თავისთავად. პირადად მე სულ ახალი ჩასული ვიყავი, როცა მწვრთნელმა, ტომო მაჰორიჩმა დამიბარა და მითხრა, შენში მხოლოდ ტექნიკა და სროლა მომწონსო. ამით მიმახვედრა, რომ ყველა დანარჩენ კომპონენტში ძალიან ბევრი მქონდა სამუშაო.

**— და შეუდექით...**

— თავიდან ძალიან ვიღლებოდი, მერე ნელ-ნელა ფიზიკურად მოვღონიერდი და „სლოვანის" რეჟიმში ყოფნა ჩემთვის ახლა არანაირ სირთულეს აღარ წარმოადგენს. დილის 9 საათზე ვიღვიძებ, ვსაუზმობ და ვარჯიშზე მივდივარ, თავდაპირველად ტრენაჟორები გვაქვს, მერე დარბაზში ბურთზე ვმუშაობთ, ყოველივე ეს დაახლოებით სამ საათს გრძელდება. შუადღისას კარგად თუ არ დავისვენე და გამოვიძინე, საღამოს ვარჯიშზე არაფრის თავი აღარ მაქვს-ხოლმე. საღამოობით ძირითადად ტაქტიკურ წვრთნას გავდივართ, კომბინაციებს ვიმეორებთ და ვხვეწთ.

**— ადრე თქვენ, უგრეხელიძე და კეიდია ერთად ცხოვრობდით. გავიგეთ, ახლა ბინა გამოგიცვლიათ.**

— მე ცალკე საცხოვრებელი გამომიყვეს, იქვეა, დარბაზთანაც და ბიჭებთანაც ძალიან ახლოს. მე, დედაჩემი და ჩემი პატარა ძმა ახლა უკვე მარტო ვართ, კონტრაქტით ასე იყო გათვალისწინებული, კლუბის ხელმძღვანელობამ დააგვიანა კიდეც დანაპირების შესრულება.

**— „სლოვანთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ?**

— ორს პლუს ორი, მომავალი სეზონის შემდეგ ხელმეორედ გადავხედავთ ხელშეკრულებას, უკეთესი ვარიანტი თუ გამოჩნდა, ალბათ, სხვაგანაც გადავალ.

**— ამ ერთი წლის მანძილზე რაიმე კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს?**

— არა, ყველამ იცის, რომ მე „სლოვანის" საკუთრება ვარ და ეს კლუბი იოლად არ შემელევა. ჯერჯერობით მხოლოდ მენეჯერები ცდილობენ ჩემთან ურთიერთობის დაჭერას, უახლოეს მომავალში მათგან საუკეთესოს ავარჩევ და ხელშეკრულებასაც გავუფორმებ. ახლახან ძალიან ცნობილი მენეჯერი გამაცნეს, მარკ ქრიუ, ბევრი კარგი ტრანსფერი გაუჩარხავს. ალბათ მეც მასთან დავიჭერ საქმეს.

**— ტომო მაჰორიჩი რა კაცია?**

— ძალიან კარგი სპეციალისტია და არანაკლებ კარგი პიროვნება. მასთან მუშაობა პირადად მე ნამდვილად მსიამოვნებს, უყურადღებოდ არაფერი დარჩება.

**— მწვრთნელი კმაყოფილია თქვენით?**

— ამას ძალიან იშვიათად გამოხატავს, მაგრამ საქციელით მაინც ვატყობ, რომ სჯერა ჩემი და მენდობა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო დიდხანს თამაშის საშუალებას მაძლევდა,- ეს კი ნიშნავს, რომ ნელ-ნელა ყველაფერში ვუმატებდი.

**— კონკრეტულად რა მითითებებს გაძლევდათ ვარჯიშებზე ყველაზე ხშირად?**

— ყოველთვის დაცვას მიწუნებდა. სანამ დაცვაში თამაშს არ ისწავლი, მოედანზე გასვლას არ გაღირსებო, სულ ასე მემუქრებოდა. საერთოდ, ამას მაჰორიჩი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს, მარტო ჩემთან კი არა, ყველა კალათბურთელთან ამაზე აქვს დავა, ერთი შეცდომაც რომ დაუშვა, ჩათვალე, რომ გამოგცვლის.

**— წლევანდელ სეზონში „სლოვანის" მეოთხე ადგილი როგორ აღიქვა ხელმძღვანელობამ?**

— თავადაც იცოდნენ, რომ ეს ამ გუნდის მაქსიმუმი იყო. ასე რომ, ყველანი კმაყოფილები დარჩნენ. ამ ჩემპიონატში კარგი თამაშის წყალობით „სლოვანმა" არაერთი ძლიერი სპონსორიც გაიჩინა.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ყველაზე დიდი ნაკლი, რაზე გმართებთ მუშაობა?**

— ყველაფერი დასახვეწი მაქვს, საგანგებო ყურადღება კი ფიზიკურ მომზადებას უნდა დავუთმო. ამ ნაკლს თუ აღმოვფხვრი, გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს შევძლებ. სხვათა შორის, ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის საქმე, ამ ერთ სეზონში დაახლოებით 15 კილოგრამამდე მოვიმატე, რაც ღონიერ მეტოქეებთან ბრძოლას მიადვილებს.

**— მოდით, ახლა „ქართულ მა[...] ფიაზეც" ვთქვათ. ნებისმიერი კალა[...] თბურთელი ინატრებდა ნორმალურ[...] უცხოურ კლუბში თამაშს, თანაც სა[...] თვისტომთან ერთად...**

— ეს მე ძალიან დამეხმარა ახა[...] გარემოსთან შეჩვევაში. სლოვენიაშ[...] სხვაც ბევრი მეგობარი გავიჩინე, მა[...] გრამ ბოისას, უგრეხელიძისა და კე[...] დიას გვერდზე ვერავის დავაყენებ. სუ[...] ერთად ვართ, ხშირად ჩემს ახალ ბი[...] ნაშიც ვიკრიბებით, ვერთობით, საქარ[...] თველოს ვიხსენებთ, ვსადილობთ. დე[...] დაჩემი ნაირ-ნაირ ქართულ კერძებს ა[...] გვაკლებს.

**— მაშ, გართობისთვისაც იცლით[...]**

— კვირაობით დასვენების დღ[...] გვაქვს, ხანდახან ხუთშაბათობითა[...] უფრო ხშირად, დისკოთეკებზე სიარუ[...] ლით ვიქცევთ თავს, იქაც საკმაო ენ[...] რგიას ვხარჯავთ.

**— გიყვართ ცეკვა?**

— რეპი მიყვარს ძალიან. ამ სტ[...] ლის მუსიკა რომ მესმის, ცეკვაც მი[...] დება ხოლმე.

**— რაკი დისკოთეკაზე ხშირად და[...] დიხართ, სასურველი პარტნიორი[...] შეთვალიერებული გეყოლებათ.**

— ამორჩეული არავინ მყავს, სლო[...] ვენიაში ძალიან ბევრი მოსაწონი გო[...] გონაა, თან მრავალფეროვნებაც მხი[...] ბლავს.

**— გოგონებზე სხვა დროს, ახლ[...] სხვა მხრივ შევამოწმებ თქვენს გე[...] მოვნებას. რომელ კლუბში ისურვე[...] ბდით კარიერის გაგრძელებას?**

— ევროპაში?

**— თუნდაც.**

— სიმართლე გითხრათ, ევროპულ[...] კალათბურთი მაინცდამაინც არ მო[...] მწონს. რა თქმა უნდა, არიან ძალი[...] ძლიერი კლუბები, მაგრამ როგორც ახ[...] თი, საყვარელი კლუბი არ მყავს, ვე[...] რაფერს გეტყვით.

**— განაგრძეთ...**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ნბა-ში[...] არ დამიდგამს თვალი რომელიმე გუ[...] ნდზე. ჩემი ოცნება კი, რაღა დაგიმა[...] ლოთ, სწორედ პროფესიონალებში ყო[...] ფნაა. რატომღაც მსურს, რომ ზანგე[...] ბთან ერთად ვთამაშობდე, ესაა ჩემი[...] სურვილი.

**— და შაკილ ონილთან ერთად[...] იცეკვოთ რეპი...**

— არა, მაგაზე ნამდვილად არ მი[...] ფიქრია.

**— აბა, კიდევ რაზე ფიქრობთ[...] რაზე ოცნებობთ?**

— ბავშვობაში რაზეც მიოცნებია[...] ნელ-ნელა, ეტაპობრივად ყველაფერ[...] მისრულდება. ძალიან მინდოდა საქარ[...] თველოს დიდ ნაკრებში მეთამაშა და[...] ეს წადილიც ავისრულე. ახლა უკვე[...] ჩემი ქვეყნის ნაკრების წარმატებებზე[...] ვიფიქრებ...

გიორგი ბიკაშვილი

## საბერძნეთი

# ...ოტაც და...

პლეი ოფის ფინალი
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ...ანათინაიკოსი | 2 |
| ...აოკ | 0 |

**პაოკ 62:69 პანათინაიკოსი**

...ოკ: ნიკოლაიდისი, მასლარინოსი (2), ...ოლდებელა (4), ბალოიანისი (3), პე...რალი (6), ბაზარევიჩი (8), ედვარდსი (22), ალექსანდერი (4), იანულისი (13)
...ანათინაიკოსი: ალვერტისი (15), კოხი, რო...ჯერსი (2), ფოცისი (6), ჯენტილე (3), ...ბოდიროგა (17), რებრაჩა (14), ბერკი (2), ...კატაში (10)

...ცოტაც და ათენის „პანათინაიკოსი" ...ინალსაც მოიგებს და საბერძნეთის ...მპიონის ტიტულსაც შეინარჩუნებს. ...ალონიკის პაოკი ჯერჯერობით ვერა...თარ წინააღმდეგობას ვერ უწევს ...ევანდელი ევროლიგის ჩემპიონს და, ...ვარაუდოდ, ხვალ ათენის ოლიმპი...რ სტადიონზე სერიას მშრალად წა...ებს.

...მეორე მატჩი კი სალონიკის „პილე...ი" გაიმართა. სიმართლე ითქვას, ამ ...რბაზში „პანათინაიკოსი" უფრო მა...ინძელი, ვიდრე პაოკი. საქმე ის გა...ავთ, რომ პაოკ-ს „პილეაში" ერთი ...ფიციალური მატჩი გაუმართავს, „პა...თინაიკოსს" — ოთხი (ორ-ორი სა...რძნეთის თასის და ევროლიგის ...თხთა ფინალებში"). 8500 ქომაგის ...ალწინ პაოკი დასაწყისიდანვე ჩა...რჩა მეტოქეს და მეორე ტაიმში ...თხანს 17 ქულითაც აგებდა (57:40). ...ე მასპინძლებმა მოინდომეს და და...ვიდებულ ათენელებს დამთავრებამდე ...ი წუთით ადრე ხუთ ქულამდე შეუმ...რეს ანგარიშში სხვაობა (63:58). ...ი, სულ ეს იყო ამ მატჩის ინტრი... ...ალსანიშნავია, რომ პაოკ-მა 10 ნას...ლი სამქულიანიდან ყველა ააცილა.

## თურქეთი

# ...ად იქნენ ...ოიდერები?

პლეი ოფის ფინალი
(ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ...ფესი | 1 |
| ...ოფაში | 0 |

**ეფესი 72:64 თოფაში**

...ფესი: მულაომეროვიჩი (4), თურქოღლუ (11), ონანი (7), ქუთლუაი (12), ბეშოქი (18), ვინსლოუ (15), დრობნიაკი (5)
...ოფაში: ერდოგანი, ფარსი, რიმაცი (7), ...ბაში (2), ქონუქი (6), ილმაზი (10), ოქუ...რი (7), გრიფიტი (9), რივერსი (23)

...ფინალის პირველი მატჩი ორივე გუ...ის ლიდერების სუსტი თამაშით აღი...შნა. ეფესელები დამირ მულაომერო...ი, ჰიდაიეთ თურქოღლუ და იბრა...მ ქუთლუაი, აგრეთვე თოფაშელები ...შარდ გრიფიტი, სლავენ რიმაცი და ...მეთ ოქური მოედანზე მხოლოდ ვა...ს მოსახდელად იყვნენ გამოსულნი. ...თოფაშის" ალფერ ილმაზი (10 ქულა, ... მოხსნა) მულაომეროვიჩს კარგად ...მეურვეობდა, თუმცა შვიდიდან ხუ... სამქულიანის აცილება მაინც მოა...რხა. ბურსელი დევიდ რივერსი, პრა...იკულად, მარტო იბრძოდა, მაგრამ ... საკმარისი არ აღმოჩნდა.

...„ეფესმა" წინა ხაზის წყალობით მო...ო — ჰუსეინ ბეშოქმა და რიკი ვინ...ლოუმ ფარს არავინ გააკარეს და, მო...ებთან ერთად, ქულებიც საკმაოდ ...როვეს. აქ პრედრაგ დრობნიაკის აღ...ნიშვნაც ღირს, რომელმაც გრიფიტს ...ერი არაფერი გააკეთებინა.

...ფინალის მეორე მატჩი დღეს გაიმა...თება ბურსაში.

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# საკუთარ თავზე უკეთ მეტოქეს ვიცნობთ



REUTERS მაიამიდან

მაიამი — ნიუ იორკი. მაიამელი ფი ჯეი ბრაუნი (№42) თანაგუნდელი დან მარლის და მარკუს კემბის ბრძოლას შეჰყურებს

## აღმოსავლეთი

17 მაისი

| | |
|---|---|
| მაიამი | 3 |
| ნიუ იორკი | 2 |

**მაიამი 87:81 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (12), მარლი (16), მაშბურნი (21), ბრაუნი (5 ქულა, 12 მოხსნა), მურნინგი (18); კარტერი (6), ვეზერსპუნი (6), ბოუენი (3), ტორპი
ნიუ იორკი: ვორდი (12), ჰიუსტონი (12), სპრიუელი (24 ქულა, 6 პასი, 5 ჩაჭრა), ჯონსონი (10), იუინგი (16 ქულა, 11 მოხსნა); ჩაილდსი (5), კემბი (2), ტომასი, დადლი

„მაიამი ჰითმა" შინ იმარჯვა მეხუთე თამაშში, სერიაში მესამედ დაწინაურდა და გვარიანად დაუახლოვდა სანუკვარ მიზანს, კონფერენციის ფინალს, სადაც არსებობის მანძილზე სულ ერთხელ, სამი წლის წინ ყოფილა. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერ გადაწყდა. „ნიუ იორკი" იოლად არავის არაფერს დაუთმობს და მით უმეტეს „მაიამის", რომელიც ამ ბოლო წლებში პლეი ოფებში მის მუდმივ მეტოქედ ქცეულა. თუმცა, ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, დაგვეთანხმებით, პატ რაილის შეგირდებს მომდევნო წრეში გასვლის უფრო მეტი შანსი აქვთ. „მშვენივრად ვიცით, რომ კიდევ ერთი თამაშის მოგება გვჭირდება, მაგრამ ეს სათქმელადაა ადვილი. ჩვენი მეტოქე ხომ „ნიუ იორკია". მგონია, მის მოთამაშეებს უფრო კარგად ვიცნობთ, ვიდრე საკუთარ თავს. მშვენივრად ვიცი, რომელს რისი გაკეთების შნო აქვს, ჩვენ „ნიუ იორკის" სპეციალისტები ვართ და თავს მოვიტყუებთ, იგი ჩვენზე სუსტ გუნდად რომ ჩავთვალოთ. დარწმუნებული ვარ, მათაც თავის მხრივ მშვენივრად უწყიან ჩვენი პლუს-მინუსები" — „მაიამის" ლიდერი ალონზო მურნინგი „ნიქსთან" ჭიდილში გაიზარდა და გამარჯვების შემდეგ ეიფორიას არ ეძლევა.

თვითონ თამაში კი, როგორც სერიას შეეფერება, ერთობ დაძაბული გამოდგა. როგორც ყოველთვის, საერთო ყურადღების ცენტრში ძიექცა მასპინძელი ალონზო მურნინგი, რომელიც წინა დღით სეზონის საუკეთესო მცველად აღიარეს. მურნინგი თავის „კუთვნილ" ფარქვეშა სივრცეს აკონტროლებდა, ხსნიდა ბურთებს აფარებდა მეტოქეებს და... აცილებდა ბურთებს. მან თამაშიდან ხუთი ბურთის ჩაგდებას 17 (!) სროლა მოანდომა. ამასთან საკუთარი უზუსტობით გულმოსული და აღრენილი ალონზო ხშირადაც ჯარიმდებოდა, მერე მსაჯს ედავებოდა, აღშფოთებით შლიდა ხელებს. მიუხედავად ამისა, მასპინძელთა ლიდერი სანაქებოდ ირჯებოდა დაცვაში. მართალია, გამოცდილმა ბებერმა მგელმა პატრიკ იუინგმა რამდენიმე ბურთი ჩაუგდო და ჯარიმებიც აჰკიდა, მაგრამ სამაგიეროდ მურნინგმა მასზე მაღალ იუინგს ორჯერ დაუფარა. როცა გამოცდილ ნიუიორკელს ახალგაზრდა მარკუს კემბი ცვლიდა, მაიამელი საშინელ დღეში აგდებდა მას. კემბი იძულებული იყო, მისთვის მოუხერხებელი პოზიციებიდან ეცადა ბედი, მაგრამ ექვსი სროლიდან სულ ერთი ჩააგდო, თან მალევე მიიღო ექვსი პერსონალური ჯარიმა და მურნინგს იუინგი შეატოვა. სტუმართა ცენტრმა ბოლომდე იბრძოლა, რამაც თავისი შედეგიც გამოიღო — მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ექვსი პერსონალურით მურნინგიც გავარდა, რასაც თითქოს სტუმართა გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა. იმ დღეს მაიამელთა შორის ყველაზე შედეგიანი ჯამალ მაშბურნიც გვარიანად დაღლილიყო, მაგრამ მასპინძლებს აქ მშველელად ვეტერანი დან მარლი მოევლინათ. მან ორი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და მატჩის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე თავისი გუნდი ექვსი ქულის სხვაობით დააწინაურა. „ნიუ იორკმა" შეძლო და თითქმის დაეწია მეტოქეს, კრის ჩაილდსმა 14 წამით ადრე 83:81 გახადა ანგარიში. მერე მაშბურნმა ორი საჯარიმოთი ოთხი ქულით დააცილა თავისი გუნდი მეტოქეს, სტუმარი სპრიუელის მიერ აცილებული სამქულიანის შემდეგ კი მარლიმ ზუსტი საჯარიმოებით თამაშს წერტილი დაუსვა.

სერიის მეექვსე შეხვედრას „ნიუ იორკი" 19 მაისს უმასპინძლებს. ისე კი ამ წყვილში სტუმარი და მასპინძელი პირობითი ცნებებია.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მურნინგი კვლავ ყველაზე გაუვალია

16 მაისს ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ სეზონის საუკეთესო მცველი დაასახელა. კალათბურთში მცველს ხშირად უკანახაზელს ეძახიან, მაგრამ ამ ტიტულის მიღება შეუძლია ნებისმიერი ამპლუის მოთამაშეს, რომელიც დაცვაში ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს. ზედიზედ მეორე სეზონია, ამ ტიტულს არავის უთმობს „მაიამი ჰითის" ცენტრი ალონზო მურნინგი. ზომ, როგორც მას მოფერებით ეძახიან, წლეულსაც დიდი უპირატესობით მოიგო გამოკითხვა — 121 შესაძლო ხმიდან ნახევარზე მეტი, 62 დააგროვა და უახლოეს მდევარს შაკილ ონილს უზარმაზარი სხვაობით გაუსწრო. მართალი რომ ითქვას, ონილი შეტევაში უფრო სასარგებლოა, ვიდრე დაცვაში და გამოკითხულთა სიაში მის მიერ დაკავებული მეორე ადგილი უფრო კარგ სეზონს და ონილის ირგვლივ შექმნილ აჟიოტაჟს უნდა მიეწეროს. ერთი სიტყვით, მურნინგს ფაქტობრივად კონკურენტი არ ჰყოლია და მისი პირველობა ეჭვს არ იწვევდა.

შაკილ ონილისგან განსხვავებით, ალონზო მურნინგი უფრო საკუთარ ფართან ძლიერი თამაშითაა ცნობილი. თუ მურნინგი კაცს გულმოდგინედ მეურვეობს, მისი მარწუხებიდან თავის დაღწევა ისეთ ზემძლავრ კალათბურთელებსაც უჭირთ, როგორებიც თავად შაკილ ონილი და კარლ მელოუნი არიან. ზო სიმაღლით ამპლუის კვალობაზე საკმაოდ დაბალია, სულ 208 სანტიმეტრია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის საკუთარი ფარის სრული ბატონ-პატრონი იყოს. იგი არა მარტო მაღალ კალათბურთელებს უშრობს სისხლს, არამედ მის სამფლობელოში უტიფრად შემოჭრილ უკანახაზელებსაც საშინელ დღეში აგდებს და ძნელად რომ მის დაფარებას ვინმე გაექცეს. მან უბადლო დამფარებელს, დიკემბე მუტომბოს ჩამოართვა პირველობა და მეორე წელია, ლიდერობს. მისი მაჩვენებელია მატჩში საშუალოდ 3,72 დაფარება. ამასთან მურნინგში ლიგაში მეთერთმეტეა მოხსნებში (9,5 მოხსნა) და მეთხუთმეტე ქულებში (21,7 ქულა).



REUTERS მაიამიდან

ბილ რასელი (მარჯვნივ) სეზონის საუკეთესო მცველის პრიზს გადასცემს ალონზო მურნინგს

მურნინგი მერვე სეზონს ატარებს ლიგაში და ბოლო წლებში რომ საგრძნობლად მოუმატა, „მაიამის" სახელოვანი მწვრთნელის, პატ რაილის დამსახურებაა. „ჰიტის" დაცვა მურნინგზეა აწყობილი და გუნდიც მეტოქეებს ლიგაში ყველაზე ცოტა ბურთს აგდებინებს. უბრალოდ, მურინინგი საუკეთესოა თავის საქმეში. „თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ მის სტატისტიკას, დაფარებებს, მაგრამ ზოს თამაშს სტატისტიკა ნაწილობრივაც ვერ ასახავს" — ამბობს 50-60-იანი წლების ლეგენდარული კალათბურთელი ბილ რასელი, რომელიც მაშინ თვით უძლეველ უილტ ჩემბერლენს აჩერებდა და, საერთოდ, დაცვის მოთამაშის ეტალონადაა აღიარებული. სეზონის საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი ჯილდოც სწორედ ბილ რასელმა გადასცა მურნინგს.

სეზონის საუკეთესო მცველს 1983 წლიდან ასახელებენ და გამოკითხვაში უპირატესად ცენტრები ან თავდამსხმელები იმარჯვებენ. ბოლო 12 წლის განმავლობაში დაბალთაგან მხოლოდ ერთმა, გერი პეიტონმა მოახერხა და აჯობა მაღლებს 1996 წელს. ამ ტიტულს ყველაზე მეტჯერ ზაირელი დიკემბე მუტომბო ფლობდა. მან სამჯერ იმარჯვა გამოკითხვაში. მურნინგის გარდა ორჯერ აღიარება წილად ხვდათ სიდნი მონკრიფს, მარკ იტონს, დენის როდმანს და ჰაკიმ ოლაჯუონს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების საუკეთესო დამცველებმა — მუტომბომ, პეიტონმა და სკოტი პიპენმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები. საბოლოოდ გამოკითხვის შედეგები კი ასე გამოიყურება: ალონზო მურნინგი (მაიამი, 62 ხმა), შაკილ ონილი (ლეიკერსი, 21), ედი ჯონსი (შარლოტი, 11), დიკემბე მუტომბო (ატლანტა, 11), გერი პეიტონი (სიეტლი, 4), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, 4), კევინ გარნეტი (მინესოტა, 2), სკოტი პიპენი (პორტლენდი, 1), ენტონი მეისონი (შარლოტი, 1), კენდალ გილი (ნიუ ჯერსი, 1), ბო აუთლოუ (ორლანდო, 1), ჯეისონ კიდი (ფინიქსი, 1), კლიფ რობინსონი (ფინიქსი, 1).

**ივანე კობიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 34-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | დუისბურგი-ჰამბურგი | 2,7 | 3,0 | 2,2 |
| 002 | ბაიერნი-ვერდერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 003 | შტუტგარტი-არმინია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 004 | აინტრახტი-ულმი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 005 | შალკე-ჰანზა | 2,0 | 3,6 | 2,7 |
| 006 | უნტერჰახინგი-ლევერკუზენი | 4,0 | 2,0 | 1,8 |
| 007 | ჰერტა-დორტმუნდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 008 | კაიზერსლაუტ.-მიუნხენ 1860 | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 009 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 3,0 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 33-ე ტური

21 მაისი

| | |
|---|---|
| 010 | კიოლნი-ზანქტ პაული |
| 011 | ობერჰაუზენი-ალემანია |
| 012 | ფიურტი-კარლსრუე |
| 013 | ვალდჰოფი-ფორტუნა |
| 014 | კიკერსი-ჰანოვერი |
| 015 | ოფენბახი-კოტბუსი |
| 016 | ბოხუმი-ქემნიცი |
| 017 | ბერლინი-ნიურნბერგი |
| 018 | მიონხენგლადბახი-მაინცი |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 38-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ამიენი-გენგამი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 020 | ლილი-ლავალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 021 | სოშო-ნიმი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 | გენიონი-ნიცა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 023 | ლორიანი-აიაჩო | 2,3 | 2,8 | 3,0 |
| 024 | ვალანსი-შატორუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 025 | კანი-ლუანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 026 | კაენი-ტულუზი | 3,0 | 1,8 | 3,0 |
| 027 | ლე მანი-ვასკეალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 028 | ნიორი-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

### იტალია. სერია "ბ". 35-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | ალძანო-ატალანტა | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 030 | ბრეშა-ტრევიზო | 1,5 | 2,8 | 7,0 |
| 031 | ჩეზენა-ნაპოლი | 3,0 | 1,7 | 3,2 |
| 032 | კიევო-ვიჩენცა | 2,7 | 1,5 | 3,0 |
| 033 | ემპოლი-ტერნანა | 1,8 | 2,3 | 6,0 |
| 034 | ფერმანა-რავენა | 2,9 | 2,6 | 2,2 |
| 035 | პისტოიეზე-კოზენცა | 1,8 | 2,5 | 5,0 |
| 036 | სალერნიტანა-პესკარა | 1,6 | 2,3 | 7,0 |
| 037 | სამპდორია-მონცა | 1,5 | 2,8 | 8,0 |
| 038 | სავოია-ჯენოა | 2,8 | 2,5 | 2,3 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 38-ე ტური

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 040 | ბილბაო-ალავესი | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| 041 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,4 | 2,0 | 8,0 |
| 042 | ვალენსია-სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 043 | ბარსელონა-სელტა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 044 | მალიორკა-ატლეტიკო | 1,4 | 3,6 | 6,5 |

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | ნუმანსია-ბეტისი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 046 | მალაგა-რასინგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 047 | ოვიედო-სოსიედადი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 048 | სევილია-რაიო ვალეკანო | 2,5 | 3,0 | 2,4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-40 ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 052 | ოსასუნა-ტენერიფე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 054 | კორდობა-ვილიარეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 049 | მერიდა-ტოლედო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 050 | ატლეტიკო "ბ"-ეელვა | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 051 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 053 | კომპოსტელა-ლევანტე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 055 | ლას პალმასი-ელჩე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 056 | ლოგრონიესი-ეიბარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 057 | ლეიდა-ხეტაფე | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| 058 | სალამანკა-ბადახოსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 059 | ალბასეტე-ექსტრემადურა | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### საბერძნეთი. 33-ე ტური

20-21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 060 | კალამატა-არისი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 061 | აეკ-ტრიკალა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 062 | ოფი-იონიკოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 063 | პაოკ-კავალა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 064 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 065 | პანათინაიკოსი-აპოლონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 066 | პანაჰაიკი-პანილიაკოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 067 | ეთნიკოსი-პანიონიოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 068 | ირაკლისი-პროდეფტიკი | 1,4 | 4,0 | 5,6 |

### პოლონეთი. 28-ე ტური

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 074 | ამიცა-რუხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 071 | პლოცკი-პოგონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 075 | ზაგლებე-ვისლა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 070 | ვიძევი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 072 | ოდრა-სტომილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 073 | ლეგია-პოლონია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 076 | გურნიკი-ლკს | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| 069 | ლეხი-რაძიონკოვი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### თურქეთი. 34-ე ტური

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 077 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 078 | გიოზთეფე-ვანი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 079 | ადანა-გაზიანთეფი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 080 | ფენერბაჩე-დენიზლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 081 | ბურსა-ქოჯაელი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 082 | ერზურუმი-ბეშიქთაში | 3,0 | 1,8 | 2,2 |
| 083 | გალათასარაი-ისთანბული | 1,6 | 3,6 | 3,2 |
| 084 | ანთალია-ალთაი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 085 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 3,6 | 3,2 | 1,8 |

### შოტლანდია. 36-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 086 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 087 | დანდი-აბერდინი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 088 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| 089 | კილმარნოკი-სენტ ჯონსტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 090 | მოზერუელი-რეინჯერსი | 3,6 | 3,2 | 1,7 |

### ავსტრია. 35-ე ტური

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 91 | ავსტრია-რიდი | 1,8 | 2,9 | 4,0 |
| 92 | ლინცერი-გრაცერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 93 | ბრეგენცი-ტიროლი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 94 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| 95 | შტურმი-ლუსტენაუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### შვეიცარია. მე-11 ტური

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 96 | ლუცერნი-სენტ გალენი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 97 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 98 | ლოზანა-ივერდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 99 | სერვეტი-ბაზელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### დანია. 31-ე ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01 | ორჰუსი-აკადემისკი | 2,3 | 3,2 | 2,4 |
| 02 | ვიბორგი-ოლბორგი | 2,3 | 3,1 | 2,5 |
| 03 | ჰერფიოლგე-ოდენსე | 1,4 | 3,5 | 5,0 |
| 04 | ლიუნგბიუ-სილკებორგი | 2,0 | 3,1 | 3,3 |
| 00 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1,5 | 3,4 | 5,0 |

22 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 | ვაილე-ესბიერგი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

### რუსეთი

22 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 | როსტსელმაში-ანჟი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 07 | ზენიტი-ნოვგოროდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### შვედეთი. მე-7 ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08 | ჰაკენი-ელფსბორგი | 1,9 | 3,2 | 3,1 |
| 09 | სუნდსვალი-ფრიოლუნდა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 10 | იორგრიტე-ტრელებორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

22 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | გაის-გიოტებორგი | 4,4 | 3,1 | 1,6 |
| 12 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 13 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| 14 | იორებრო-აიკ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ნორვეგია. მე-10 ტური

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | ბრინი-მიოლდე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 117 | მოსი-ლილესტრიომი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 118 | სტაბეკი-ბრანი | 2,6 | 3,1 | 2,3 |
| 119 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 2,1 | 3,1 | 2,8 |
| 120 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 121 | ვოლერენგა-ვიკინგი | 2,3 | 3,1 | 2,6 |

22 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 115 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 3,8 | 3,1 | 1,7 |

### ინგლისი. თასის ფინალი (უემბლიზე)

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 122 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### პორტუგალია. თასის ფინალი

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 123 | სპორტინგი-პორტუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ჰოლანდია. თასის ფინალი (ნეიტრალურზე)

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 124 | როდა-ნაიმეგენი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

### რუსეთი. თასის ფინალი

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 125 | ლოკომოტივი-ცსკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### კალათბურთი

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 802 | ფილადელფია-ინდიანა | 1,45 | 12,0 | 2,1 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | მაიამი-ნიუ იორკი | | | |
| 804 | ინდიანა-ფილადელფია | | | |

### ჰოკეი

19 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | კოლორადო-დალასი | 1,7 | 4,0 | 2,4 |

20 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 806 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |

21 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 807 | კოლორადო-დალასი | | | |

22 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 808 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ჩიპოლინი ოცდაათიანელებს დაეწია


REUTERS მატერიადან

პელოტონმა ისტორიასაც ჩაუქროლა

მარიო ჩიპოლინიმ შური იძია. წინა დღით დისკვალიფიკაციის გამო გამარჯვება წაართვეს, მეოთხე კი ეტაპზე ულაპარაკოდ იმარჯვა. ამ მოგებით მარიო კონსტანტე ჯირარდენგოს გაუთანაბრდა. ახლა ორივეს ანგარიშზე „ჯიროს" 30 ეტაპია. მათზე ერთით წინაა კიდევ ერთი ომამდელი სპორტსმენი, გერა ლეარკო. 30-იანი წლების ერთ-ერ უძლიერეს მრბოლ ალფრედო ბინდას კი 41 ეტაპი მოუგია იტალიის უმთავრეს შეჯიბრში.

„დღევანდელი სპრინტი ძალიან იოლი მოსაგები იყო, რადგან საფინიშო სწორზე ძლიერ სპრინტერთაგან თითქმის არავინ იყო. კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ" — განაცხადა ტოსკანელმა, ვისი „ჯიროში" მონაწილეობაც ასთმის გამო საეჭვო იყო.

თუ მესამე ეტაპზე სუპერმარიო თავისმა თანაგუნდელებმა იდეალურად გამოაქანეს, გუშინწინ იგი მარტოობაში იყო. მანამდე, მთელი გზის განმავლობაში, მრავლად იყო პატარ-პატარა ალმართები, რომლებიც „საეკოს" პეპელამ ვაჟკაცურად დაძლია. მრავლად იყო შეტევებიც და მათი მცდელობებიც. მიუხედავად იმისა, რომ პელოტონი კარგა ხნის განმავლობაში მიზოზინებდა (საშუალო სიჩქარე 27 კმ/სთ), მასთან დიდი უპირატესობის მოპოვება ვერავინ შეძლო.

თვალსაჩინო კი ორი რამ მოხდა. ჩიპოლინის თანაგუნდელი ჯუზეპე კალვატერა მუშტებით მიეჭრა კოლუმბიელ ფრედი მარტინეს გონსალესს, მაგრამ გონს მალე მოვიდა და ინციდენტიც ამით ამოიწურა. ჩხუბის იშტაზე მოსვლა კი კალვატერამ ნერვებს დააბრალა.

ფინიშამდე თორმეტიოდე კილომეტრით ადრე პელოტონზე დაახლოებით 50-100 მეტრით წინ მყოფი შვეიცარიელი დანიელ შნაიდერი (ფრანსეზ დე ჟე) ორგანიზატორთა მოტოციკლს დაეჯახა და წაიქცა. დანარჩენი მრბოლები სასწაულებრივ აერიდნენ და იოლად გადარჩენილი შნაიდერიც მალე დაედევნა პელოტონს.

**გაიოზ თალაქვაძე**

**მეოთხე ეტაპი**

სკალეა — მატერა, 235 კმ

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — 6სთ 16 წთ 58წმ
2. დმიტრი კონიშევი (რუსეთი, ფასო ბორტოლო)
3. სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
4. მიგელ ანხელ მარტინი (ესპანეთი, ვიტალიციო)
5. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — 20სთ 09წთ 17წმ
2. მატეო ტოსატო (იტალია, ფასო ბორტოლო) — +16წმ
3. ხოსე გუტიერესი — +11
4. მარიო ჩიპოლინი — +14
5. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +22

# ნუ გააბრაზებთ პელოტონს, თორემ...

შარშანდელი „ჯიროს" ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე, საერთო ჩათვლის ლიდერი და, ფაქტობრივად, გამარჯვება დაბევებული მარკო პანტანი ტურნირიდან მოხსნეს ვითომდა დოპინგის მიღებისთვის. „მეკობრეს" აკრძალული ნივთიერებების გამოყენება ვერ დაუმტკიცეს, სამაგიეროდ, მისი კარიერა დააყენეს ეჭვქვეშ. მორალურად განადგურებულმა პანტანიმ, ერთი პირობა, ველოსპორტზე საერთოდ თავის დანებება გადაწყვიტა, მაგრამ მერე მაინც საყვარელ საქმისკენ მიუბრუნდა გული.

„მერკატონე უნოს" მრბოლი მანამდეც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა თვისტომებში, დაჩაგრულის როლში კი ეს პოპულარობა ერთიორად გაიზარდა. ყველა მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას. და იგი დაბრუნდა. წლევანდელ „ჯიროსადმი" ინტერესიც ერთიორად გაიზარდა. მაყურებლები აღტაცებულნი არიან მისი ამ გადაწყვეტილებით. ყველა მასზე ლაპარაკობს, მის ამბავს კითხულობს, რაც პელოტონის უკმაყოფილებას იწვევს — სხვა მრბოლები, თუნდაც ეტაპის გამარჯვებულები და ტურნირის ფავორიტები ჩრდილში მოექცნენ.

ყოველდღე, თითოეული ეტაპის სტარტისას და ფინიშისას, ერთი და იგივე სცენა მეორდება — პანტანისკენ მაყურებელთა უმეტესობა მიისწრაფის, რომელსაც მასთან სიახლოვე, მისი შეხება, მოფერება სურს. რბოლისას კი გზებზე უამრავი პლაკატებია გამოფენილი, რომლებიც შარშანდელი „ჯიროდან" მოკვეთილს ეძღვნება.

„მიდი, პანტანი!", „ბრავო, მარკო", „გმადლობთ, პანტანი", „მეკობრე, გაგვახარე!". პლაკატების შინაარსი თითქმის ერთნაირია, მხოლოდ სიტყვები იცვლება. უდავოა, რომ იტალიაში ერთგვარ მითად ქცეული პანტანის პოპულარობა, მისი სპორტული და იურიდიული პრობლემების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

დღითი დღე მზარდი ყურადღება კი დანარჩენ იტალიელ მრბოლებს ერთობ აღიზიანებს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ გაზეთში გაიელვა ცნობებმა, აქაოდა უკანასკნელ მომენტს „ჯიროში" მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება, პანტანის არცთუ მცირე ფინანსურმა დაინტერესებამ მიაღებინაო. რა თქმა უნდა, უფულოდ არც ერთი სხვა მრბოლი არ გამოდის, თუნდაც უმნიშვნელო ტურნირშიც კი, მაგრამ აქ ლაპარაკია შავ ფულზე ანუ ქრთამზე, საგადასახადოსგან დამალულ თანხაზე. თუმცა ეს, ალბათ, მაინც საფუძველს მოკლებული ჭორია.

პირველივე ეტაპის შემდეგ, უძლიერესმა იტალიელმა სპრინტერმა მარიო ჩიპოლინიმ გამოთქვა კიდეც პელოტონის აზრი: „გაზეთს ვერ გადაშლი, მისი პაპთან გადაღებული ფოტო არ დაინახო. სტატიებს ხომ თვლა არა აქვს. ისინიც კი აქებენ, ცოტა ხნის წინ ქვებს რომ ესროდნენ. მე არაფერი მაქვს მარკოს საწინააღმდეგო, მაგრამ ეს სხვა მრბოლების მიმართ უსამართლობაა. ამას სინანულით ვამბობ, მაგრამ პელოტონმა შეიძლება პანტანი გარიყოს კიდეც".

პელოტონისგან მოძულება კი იმას ნიშნავს, რომ ყველა, შეიძლება საკუთარი თანაგუნდელებიც, მის ჩაძირვას ეცდება. აღარავინ დაეხმარება არც მთებში და არც სწორ გზაზე. „მეკობრეც" ჯერ რამდენიმე წუთს წააგებს, მერე რამდენიმე ათეულს, ბოლოს კი საერთოდ მიანებებს „ჯიროს" თავს და ველოსპორტიდან წასვლა თუ არა, იტალიაში რბოლაზე უარის თქმა მაინც მოუწევს.

იტალიაში ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ქვეყნის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ასეთი ვითარებით ძალიანაა შეწუხებული და დანარჩენ მრბოლებს არაფერში ადანაშაულებს: „ისინი მართლები არიან. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ სულაც არ ვცდილობ, მაყურებელს ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეს ჩემდამი. „ჯიროში" იმიტომ ვმონაწილეობ, რომ ფორმა აღვიდგინო და რბოლებისგან სიამოვნება მივიღო".

რა თქმა უნდა, პანტანის სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა ძნელია, მაგრამ სხვა მრბოლების მდგომარეობაც ხომ უნდა გავიგოთ? როგორია, ეტაპი მოიგო, ვარდისფერი მაისურა გადაიცვა, ქომაგები და ჟურნალისტები კი შენს ნაცვლად ვიღაც ასმერალაცე ადგილზე გასული კაცისგან გაიქცნენ? და თუნდაც ეს კაცი თვით „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული მერქსი, ინო, ანდა ინდურაინი იყოს და, არა უბრალოდ მისი ერთხელ მომგები პანტანი, მაინც ბოლმა დაგახრჩობს. ასე რომ, ნუ გააბრაზებენ იტალიელი ველოსპორტის მოყვარულები და ჟურნალისტები პელოტონს, თორემ მათი კერპი პანტანი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდება.

**გაგი გურული**


პანტანი (მარცხნივ) პელოტონის ერთ-ერთ ლიდერ სავოლდელის: ნუ გამწირავთ, პაოლო!



# ტურისტი ღირსების ბარიერთან


REUTERS საარქივოდან

გარი კასპაროვი

16 მაისს სარაევომ ერთხელაც მიიღო მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა თორმეტკაციანი დასი, რომელმაც თვის ბოლომდე ბოსნია — ჰერცეგოვინის დედაქალაქში საჭადრაკო სპექტაკლები უნდა დადგას. ბოლო წლებია, სარაევოს ტურნირი სუპერად იქცა, თორემ ადრე ასე როდი იყო: 1957 წლიდან მოყოლებული შარშან გაზაფხულამდე, ბალკანეთში არცთუ უმაღლესი გაქანების მოჭადრაკეები ასპარეზობდნენ. შემდეგ გარი კასპაროვი გამოჩნდა, 90-იან წლებში ის ერთი ბოსნიური კლუბის წევრი გახლდათ და სარაევოში კეთილი სალმით იცნობდნენ. 99-ში კასპაროვმა ტურნირზე თამაშიც გადაწყვიტა და დანარჩენი ელიტა, თითქოს ამას ელოდაო, უკლებლივ ესტუმრა ომგადატანილ ქალაქს. უარზე მხოლოდ ვლადიმერ კრამნიკი დადგა, ასი კილომეტრის იქით ერთმორწმუნე სერბებს ბომბავენ (ნატოს საჰაერო ოპერაციები იგულისხმება) და რა გულით ვითამაშოო. კრამნიკი ბოსნიაში არც წლეულს ჩავიდა, ოღონდ მიზეზი უფრო პრაგმატულია: ოქტომბერში კასპაროვს მსოფლიოს ჩემპიონობას შეეცილება და გამალებით ემზადება, სარაევოში თამაში კი, ეტყობა, მისი მზადების გეგმაში არ შედის. არ არიან ვიშვანათან ანანდი და პეტერ ლეკოც, რატომ, ვერ გეტყვით და ამით ტურნირი ბევრს რომ კარგავს, ფაქტია. მაშ, ვინღაა ისეთი, კასპაროვს წინ რომ გადაეღობება, თუ ეს შეჯიბრიც მრავალთა მსგავსად ერთი კაცის ბატონობით უნდა დასრულდეს? მთლად ასეც არაა საქმე. ჯერ ერთი, ალექსეი შიროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი და მაიკლ ადამსიც საკმაოდ ხმამაღალი სახელებია და მეორეც — არცთუ უსაფუძვლოდ, ხალხი იმასაც ფიქრობს, კასპაროვი ნახევარი ძალით ითამაშებსო. აბა რა! სარაევო ვითომ ისეთია ადგილია, ჩემპიონმა თავისი ახალი სადებიუტო ხრიკები გადმოალაგოს და კრამნიკს საოქტომბროდ სრული ინფორმაცია მიართვას? მე თქვენ გეტყვით, საპრიზო ფონდი იქნება იმხელა, ჩემპიონის გვირგვინის საპირისპირო პინაზე მისი შეგდება ღირდეს. კასპაროვი მაინც ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ შესაძლოა, სხვაგვარადაც მოხდეს. მით უმეტეს შიროვი, რაც მასთან საჩემპიონო მატჩისგან მოკვეთეს, კბილებს ილესავს და ერთ შემთხვევასაც არ უშვებს ხელიდან, რათა დაამტკიცოს, რომ კრამნიკსა და ანინდზე ნაკლები არ არის. მით უფრო, მონაკოში ტრიუმფის შემდეგ.

არც სხვა მონაწილეები არიან ხელწამოსაკრავნი. არ სჭირდებათ დახასიათება ვესელინ ტოპალოვს, ევგენი ბარეევსა და ივან სოკოლოვს. ბულგარელი, რუსი და ბოსნიელი დღეს მსოფლიოს კლასის მოთამაშეებად ითვლებიან. ერთი-ორი ჩავარდნაც ჰქონიათ, მაგრამ თითოეულის თუნდაც უძლიერეს ტურნირზე მიწვევას არავინ მოერიდება (მთლად ლინარესში არა!) და სარაევოშიც ისინი მაჩანჩალები როდი იქნებიან. იქვეა ნაიჯელ შორტიც, ზოგი კროსვორდივით ძნელად ამოსახსნელი ბრიტანელი, რომელიც როდის რას გამოატყვრენს, კაცმა არ იცის. ერთ დროს მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს პრეტენდენტს, ბოლო ხანებში რაიმე განსაკუთრებული მიღწევა არ ჰქონია და იქნებ ახლა დაიქუხოს თავისებურად. ამგვარი რამ გამორიცხულია გაბელგიელებული მიხეილ გურევიჩისგან, რომელიც სტაბილური მოთამაშეა, ბოლო დროს თავიც საკმაოდ გამოიჩინა, მაგრამ მაინც სხვა დონეა, უფრო დაბალი. ფინიშზე ცხრილის შუაში თუ იქნება, იღბალს ვერ დაემდურება, ისევე როგორც ფრანგთა პაწია (16 წლის) იმედი, ეტიენ ბაკრო, რომელიც თავადთა მარაქაში პირველად გარიეს. ამას წინათ ბაკრომ კარპოვთან კომერციული მატჩი ითამაშა და ჩქარი ჭადრაკის პარტიები მოუგო კიდეც. ახლა იმას არ ვამტკიცებთ, ბაკრო სარაევოშიც დიდ-პატარას გაბდღვნისო, მაგრამ ვნახოთ. ინტრიგა არსებობს, თუმცა, ვიმეორებთ, ცხრილის შუაწელსაც ბაკროს ყველა მიღწევად ჩაუთვლის.

ბულგარელი კირილ გეორგიევი მეთერთმეტეა ჩვენს სათვალავში და ჩეხეთის მოქალაქე სერგეი მოვსესიანი — ბოლო, ოღონდ არა იმიტომ, რომ ისედაც ბოლოა. ლასვეგასის მსოფლიოს ფიდესეული პირველობის მეოთხედფინალისტს კარგად ახსოვს, რომ კასპაროვმა შარშან შტატებში ტურისტად ჩასული უწოდა და აჰა, მშვენიერი სარბიელიც შელახული ღირსების აღსადგენად.

მონაწილენი გაგაცანით, ახლა კი სტარტის შესახებ. პირველი ტურის ექვსიდან ოთხი პარტია შედეგიანი გამოდგა. კასპაროვისა და ბაკროს შეხვედრაში ფრანგი შავებით თამაშობდა და რომ მოეგო, ამაზე დიდი სენსაცია ბოლომდე არაფერი იქნებოდა, მაგრამ მოვლენები ლოგიკურად განვითარდა: კასპაროვმა დებიუტში მცირე უპირატესობა მიიღო, რაც ენდშპილში უშფოთველად გარდაქმნა ერთ ქულად. მოროზევიჩისა და გურევიჩის პარტიაშიც დაახლოებით ამგვარი რამ მოხდა. თეთრებით მოთამაშე მოროზოვიჩი დებიუტიდან უფრო სიმპათიური პოზიციით გამოვიდა, რასაც გურევიჩისგან ფიგურის იმგვარი შეწირვა მოჰყვა, რომლის აზრი ვერც ერთმა კომენტატორმა ვერ ამოიცნო და იქნებ საერთოდაც არ არსებობდა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ 27-ე სვლაზე გურევიჩი უკვე წაგებულის როლში იყო. ქებას იმსახურებს ტოპალოვი, რომელმაც მონაკოში კარგი თამაშის შემდეგ სარაევოშიც პირველივე პარტია შავებით მოიგო, თანაც შორტთან და თანაც დამაჯერებლად. დაფაზე სწორედ ბულგარელი მეფობდა, ხოლო ამასობაში მეორე ბულგარელი მეორე დაფაზე სომეხს ებრძოდა წარმატებით. გეორგიევისა და მოვსესიანის პარტიაში ყველაფერი ორმა ლონიერმა თეთრმა კუმ გადაწყვიტა. შავი კუ და მხედარი პარტიის მიწურულს მხოლოდ უყურებდნენ, თუ როგორ მიჰქროდნენ თეთრი კოლეგები მათი ლაზიერის ფრთაზე განაბული პაიკებისკენ. მოვსესიანი ფლეტის დაწყებამდე დანებდა. ტურის ცენტრალური პარტია შიროვსა და ადამსს შორის გაიმართა და იგი ექსრიგელს უნდა მოეგო — სუფთა ზედმეტი პაიკი ჰქონდა და საუცხოო პოზიცია, მაგრამ ინგლისელმა იპოვა საჭირო ტაქტიკური რესურსები და პარტია გააყაიმა. დაზავდნენ აგრეთვე სოკოლოვი და ბარეევი, ოღონდ უცნაურ ვითარებაში. შავებით მოთამაშე რუსმა მუყაითი შრომით ფრიად სოლიდური პოზიციური უპირატესობა დააგროვა, მერე კი მეტოქეს ყაიმი თავად შესთავაზა.

**დავით გულუა**

ქირავდება

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ. „დინამო" სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.
ტელ: 34-80-68





ბენო ქაშაკაშვილის ჰიმალაიური პორტრეტი



პიოტრ პუსტელნიკი

# ბენო ლჰოცზეს კენწეროზე

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ 15 ...ის დედამიწის სიმაღლით მეოთხე ...ერვალ ლჰოცზეზე ავიდნენ ქართულ-...სული ექსპედიციის მეთაური ბენო ...აკაშვილი და პოლონელი პიოტრ პუ...ელნიკი, რომელიც ბულგარელი ბო...ლავ დიმიტროვის საერთაშორისო ...პედიციის წევრია. მაშინ ჩვენც გაკ...ვებულნი ვიყავით, თუ რატომ შეწ...ლდა ორი სხვადასხვა ექსპედიციის ორი მთამსვლელი. გუშინ ჰიმალაი...ნ მიღებულმა ინფორმაციამ ამ „საი...მლოს" ფარდა ახადა. აღმოჩნდა, რომ ...თხე ბანაკში ქართულ-რუსული ექ...დიციის წევრები ზვავში მოყოლის ...ე საბაზოში მეტად დაღლილ-დაქან...ლნი ჩამოვიდნენ და ენერგიის აღსა...ნად მწვანე ზოლზეც დაეშვნენ. სწო...ლ მაშინ ხანგრძლივი უამინდობის მე... გამოიდარა და ბენო ქაშაკაშვილმა გადაწყვიტა ამით ესარგებლა. ამიტომ იგი თანაგუნდელებს სიმწვანისკენ არ გაჰყვა, საბაზოში დარჩა და იქიდან პოლონელ მთამსვლელთან ერთად მწვერვალისკენ გავარდა და წარმატებასაც მიაღწია. ისინი აღმოჩნდნენ პირველნი, ვინც წლეულს ლჰოცზეზე ავიდნენ. მათ მიზანს ორი შერპი მთამსვლელის მხარდაჭერით მიაღწიეს.

ბენო ქაშაკაშვილი და პიოტრ პუსტელნიკი დაახლოებით 8 000 მეტრის სიმაღლეზე ეცადნენ შარშან დაღუპული რუსი მთამსვლელის ვლადიმერ ბაშკიროვის გვამის პოვნას, მაგრამ დიდთოვლობის გამო ეს ვერ მოახერხეს.

გუშინ ბენო ქაშაკაშვილმა გვაცნობა, რომ იგი თავს კარგად გრძნობს, ოღონდ ეგაა, რომ ახველებს, თუმცა, ეს იქ ჩვეულებრივი ამბავია. მისი თქმით ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრებიც ავლენ ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე, მერე ისინი ქვემოთ დაეშვებიან დასასვენებლად და საბოლოოდ გადაწყვეტენ შემდგომი მოქმედების გეგმას, კერძოდ დღემდე დაულაშქრავ ლჰოცზეს ცენტრალურ ასვლის საკითხს, რაც მხოლოდ ლჰოცზეს მთავარი პიკიდან ან ლჰოცზე შარიდან გზის გაგრძელებითაა შესაძლებელი.

გუშინვე ექსპედიციის მთავარმა მწვრთნელმა იური ბაიკოვსკიმაც მოგვაწვდინა ხმა.

— ახლა ყველა ჩვენი მთამსვლელი, ჩემს გარდა, მეორე ბანაკშია. ხვალ მეც იქით წავალ და თანაგუნდელებს დავეწევი — ამბობს იური ბაიკოვსკი — ვფიქრობთ, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ყოველდღიურად თითო ბანაკით ზემოთ ავინაცვლებთ და ამგვარად ავალთ მწვერვალზე. ამინდი ახლა ხელსაყრელია. საბაზო ბანაკში თოვს, ზემოთ კი დარია. წლეულს ყველა ექსპედიციის წევრები, ხანგრძლივი უამინდობის გამო, გრაფიკის ჩამორჩენით მიიწევენ ზემოთ. იმასაც გაცნობებთ, რომ 16 მაისს ევერესტზე სამი შერპი პირველად ავიდა, დღეს კი, ნეპალის დროით 6 საათსა და 30 წუთზე დედამიწის უმაღლესი მწვერვალი სამმა ნეპალელმა ქალმა ლაკრა შერპასთან ერთად დალაშქრა. ისინი ამ ქვეყნის ქალთა ექსპედიციის წევრები არიან და ეს მათთვის დიდი მიღწევაა. ამ ექსპედიციას უდიდეს ყურადღებას უთმობს ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ახლა ალბათ ნეპალში ეროვნული ზეიმია. ჩვენი ინფორმაციით დღეისთვის ევერესტზე 18 მთამსვლელი ავიდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**




გზა ლჰოცზესკენ

ჰოკეი

# გრეცკი ლემიესა და ჯორდანის კვალზე

...ᲓᲘᲚᲮᲐᲜᲡ არ წასულა უეინ გრეცკი. „დიადი", რომელიც კარიერის დასრუ...ბის შემდეგ მყუდრო ცხოვრებასა და ოჯახურ იდილიაზე ოცნებობდა, შესაძ...ა ფინიქსის მფლობელად, ან თანამფლობელად დაუბრუნდეს ჰოკეის. ამ დღე...ბი კლუბის მთავარი ინვესტორის, სტივ ელმანის წარმომადგენელმა ჯეფრი ჰ...ტმა განაცხადა, რომ მისმა ბოსმა გრეცკის თანამფლობელობა შესთავაზა.

...ვიმედოვნებთ, რომ ამ შეთანხმებას მივაღწევთ. ეს გუნდის ფანებისთვის ...დი სიურპრიზი იქნება" — თქვა ჰეხტმა და დასძინა, რომ ეს საკითხი სულ ...ლე გადაწყდება. თავად გრეცკი კი სიტყვას იძლევა, რომ 21 ივნისამდე, ანუ ...აფტამდე ფინიქსის მესვეურებს საბოლოო პასუხს გასცემს.

...თუ ეს გარიგება შედგა, გრეცკი მესამე იქნება მარიო ლემიესა და მაიკლ ...რდანის შემდეგ, ვინაც კარიერის დასრულების შემდეგ პროფესიონალური ...უბის მფლობელი გახდა. სხვათა შორის, ლემიემ წარმატებით მოჰკიდა ხელი ...ლ საქმიანობას და გაკოტრების პირას მისულ პიტსბურგს წლევანდელი ...ზონი ნავარაუდევი ფინანსური ზარალის გარეშე ჩაამთავრებინა. ქალაქში ...ეთრად იმატა ჰოკეისადმი ინტერესმა, სულ მალე სტადიონის მშენებლობაც ...იწყება. სუპერმარიო კი ოპტიმიზმითაა აღსავსე და სჯერა, რომ მისი გო...რული პოლიტიკა ამ ახალი არენის ტრიბუნებს გადაჭედავს.



უეინ გრეცკიმ ფინიქსს ხელი აუწია

# ახალბედების ახალი ექვსეული

...ᲐᲛ დღეებში ლიგამ სეზონის საუ...ესო ახალბედების სიმბოლური ექ...ული დაასახელა. თამამად შეიძლე...ითქვას, რომ ამ სიაში ჭეშმარიტად ...ლაზე ღირსეულნი მოხვდნენ. მეკა...თა შორის რჩეული, ფილადელფიე...ი ბრაიან ბუშე გახდა. მან არა მა...ო ჩინებული სტატისტიკური მაჩ...ებლებით დაასრულა სეზონი (სა...ალოდ 1,91 გაშვებული შაიბა ლიგა...ი პირველი შედეგია), არამედ თვით ...ნ ვანბისბრუკს ჩამოართვა გუნდის ...ითადი გოლკიპერის ადგილი. მწვ...ნელები ბუშეს პლეი ოფშიც ენდნენ და აგერ უკვე მესამე რაუნდში გასული მეკარე ამართლებს კიდეც იმედს.

მცველთა წყვილი სანხოსელმა ბრედ სტიუარტმა და ნიუჯერსელმა ბრაიან რაფალსკიმ შეადგინეს. სტიუარტმა უკლებლივ ყველა, 82 მატჩში ითამაშა და 20 წუთზე ნაკლები არასდროს გაუტარებია ყინულზე. გარდა ამისა, მან 36 ქულით ყველა თანატოლ მცველს გაუსწრო.

26 წლის რაფალსკი კი აქამდე ევროპაში თამაშობდა და იქ თავის ამპლუაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. არც ნჰლ-ში დებიუტი გააცუდა. თებერვლის საუკეთესო ახალბედად დასახელებული რაფალსკი პლეი ოფშიც ჩინებულად ასპარეზობს.

თავდასხმის სამეული ასე გამოიყურება: ნიუჯერსელი სკოტ გომესი, ფილადელფიელი სიმონ განი და რეინჯერსელი მაიკლ იორკი. მიუხედავად იმისა, რომ ათლეტური აღნაგობით არ გამოირჩევა, განმა გრენადერების მოყვარული ბობი კლარკის მოწონება მაინც დაიმსახურა და გუნდის ძირითადში ადგილი დაიბევა. მან 80 მატჩში 48 (20+28) ქულა მიითვალა.

იორკი, ალბათ, ერთ-ერთია იმათგანია, ვინც რეინჯერსის მწვრთნელთა ქების ღირსი შეიქნა. მართალია, გუნდმა კვლავ ჩააგდო სეზონი, მაგრამ ეს იორკის ბრალი როდია. მან თავი არ დაზოგა და 26 გოლით ყველა დებიუტანტს გაუსწრო.

და, რა თქმა უნდა, გომესზეც უნდა ვთქვათ. 19 წლის ნიუჯერსელმა ყველა გააოცა თავისი ბრწყინვალე დებიუტით და მოპოვებული 70 (19+51) ქულით. თუ ასე გააგრძელა, გომესი, რომელიც ესპანელი წარმოშობის პირველი მოთამაშეა ლიგის ისტორიაში, უეჭველია ნამდვილ ვარსკვლავად იქცევა.

**სამველ ლარიბიანი**

ძიუდო

# დღე პირველი, ორისთვის უკანასკნელი

WROCLAW 2000

ᲒᲣᲨᲘᲜ პოლონეთის ქალაქ ვროცლავში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. პირველ დღეს ოთხი ქართველი ფალავანი ჩაერთო ასპარეზობაში, რომელთაგან ტურნირს ორი შემორჩა.

გია გუგავამ (90 კგ) პირველი შეხვედრა მოუგო ლიტველ ალგიმანტას მერკევიჩუსს, მერე კი ფრანგ ფრედერიკ დემონფოკოსთან დამარცხდა. სანუგეშო წრეში გუგავამ ავსტრიელი რომან იაჰოდა დაამარცხა. ხვალ გია რუს დმიტრი მოროზოვს ხვდება, თუ მოუგებს, მესამე ადგილისთვის იჭიდავებს.

ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) ტურნირი რუს იური სტიოპკინთან მარცხით დაიწყო. შემდეგ კი სანუგეშო წრეში ჩაერთო და ზედიზედ მოუგო ბოსნიელ სლობოდან კლაჩარს და რუმინელ რადუ ივანს. თუკი ხვალ ჯიქურაული ფრანგ გისლენ ლემერს აჯობებს, მესამე ადგილისთვის ჭიდაობის უფლებას მიიღებს.

მძიმეწონოსანი რამაზ ჩოჩიშვილი პირველ შეხვედრაში დამარცხდა ჩეხ პეტრ იაკლთან და ჩემპიონატს დაემშვიდობა. მისი ბედი გაიზიარა ჯონდო მუზაშვილმაც (81 კგ), მას სომეხმა არუთიუნ ლარიბიანმა გადაუღობა გზა.

დღეს ასპარეზობაში გიორგი რევაზიშვილი (73 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ), ნესტორ ხერგიანი (60 კგ) და ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური) ჩაებმებიან.

# გალა ზეიმი თურქეთში



REUTERS სტამბოლიდან

დღეს მთელი თურქობა ერთი კაცივით, უფრო ზუსტად, ბალღივით ხარობს და „სტამბოლელ ლომებს“, უეფას თასის მპყრობელ „გალათასარაის“ ენაცვალება. წარმოგვიდგენია, რა ხდება თურქეთის უდიდეს ქალაქში... იქაურმა დიდპოლიტიკოსებმაც ალბათ უკვე განაცხადეს, გაგვახარეს სტამბოლის გალათასარაიელებმა, ტყუილად კი არ ვქომაგობდით მათო...

ერთი სიტყვით, სტამბოლში სახალხო სიხარულის ზღვა ბორგავს და თურქული ფეხბურთის ახალი კაცის — ფათიჰ თერიმის ბიჭებიც ამაყად დაცურავენ მის ტალღებზე — ქალაქი „გალათასარაის“ შეეგება...

# ვან გაალი წყალში



REUTERS ბარსელონიდან

ახლა, როცა ესპანური „ბარსელონა“ უპრეზიდენტოდაა დარჩენილი, ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალს წყალი შეუდგა. ხოსეპ ლუის ნუნიესი გადადგა, ვან გაალსაც საყრდენი გამოეცალა და კლუბშიც არავინ გააჩერებსო — ბოლო დროს კატალონიაში ასე ამბობენ.

რას მოიმოქმედებს თავად ვან გაალი?

დღეს ჰოლანდიელი პრესკონფერენციას გამართავს, სადაც სწორედ ამის თაობაზე ისაუბრებს. თუმცა: „კონტრაქტის გასრულებამდე კიდევ ორი წელია დარჩენილი, ამჟამად კი მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, როგორ ვითამაშებთ ჩემპიონატის ბოლო ტურში. ჩემპიონობის იმედი ჯერ არ დამიკარგავს“ — განაცხადა „ბარსელონას“ მწვრთნელმა.

რა თქმა უნდა, „ბარსელონას“ ესპანეთის ჩემპიონობის მცირე იმედი კიდევ დარჩა. თეორიული (პრაქტიკულიც კი) შანსიც აქვს, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, გალიუსიურმა „დეპორტივომ“ ბარსელონისავე „ესპანიოლთან“ წააგოს. ლაკორუნიელების ფრე კატალონიელთათვის დამღუპველი იქნება.

...ნუნიესი, რომელიც „ბარსას“ 22 წელი პრეზიდენტობდა, წავიდა. კლუბის სათავეში მოსვლის ყველაზე დიდი შანსი ვიცე-პრეზიდენტ ხუან გასპარს აქვს, რომელსაც ვან გაალი გულზე დიდად არ ეხატება: „დარწმუნებული ვარ, ჰოლანდიელი „ბარსელონას“ მალე დატოვებს, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში არც დავფიქრდები, ისე გავისტუმრებ კლუბიდან. მისი საკადრო პოლიტიკა გასაკვირია, გუნდიდან ხალხის საყვარელი ფეხბურთელები — ალბერტ ფერერი, ივან დე ლა პენია და ალბერტ სელადესი გაუშვა, სამაგიეროდ, არაფრისმაქნისი ჰოლანდიელები და ფინელი იარი ლიტმანენი მოიწვია. მის ხელში თითქოს გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა ბარსელონელები გაბრი გარსია და კარლეს პუიოლი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია“.

## გერმანია

II ბუნდესლიგა
XXXII ტური

| | | |
|---|---|---|
| ფორტუნა | 1:2 | გლადბახი |
| კოტბუსი | 3:2 | ზანქტ პაული |
| მაინცი | 2:1 | ბერლინი |
| ალემანია | 1:2 | კიოლნი |
| ვალდჰოფი | 2:3 | ოფენბახი |
| ქემნიცი | 1:1 | კიკერსი |
| ჰანოვერი | 1:2 | ფიურტი |
| კარლსრუე | 0:3 | ობერჰაუზენი |
| ნიურნბერგი | 0:1 | ბოხუმი |

## ინგლისი

I დივიზიონი. პლეი-ო

ბარნსლი 1:2 ბირმინგემი

## დანია

თასის ნახევარფინალ

ბრონდბიუ 1:0 (4:5 პენ.) ვიბორ

## შვეიცარი

დელემონი 0:2 ციურიხ

0:1 ჯამარაული (5), 0:2 ბარტლ

# ტყუილი ლოთარი ნამდვი ლოთარს შეხვდე

*გერმანია-ჰოლანდიის საზღვარზე მდებარე ქალაქ აახ ახლო კიდევ ერთი პატარა დაბაა, რომელსაც ვაა ჰქვია. ვაალში არის სასტუმრო „ვაალსბრუკი“, რომ პატრონსაც სასტუმროს ეზოში ლოთარ მათე პლასტმასის ფიგურა დაუდგამს. მიზეზი? სწო „ვაალსბრუკში“ იცხოვრებს ევროპის ჩემპიონა ჩასული გერმანიის ნაკრ*



# კიდევ ერთხელ

*ჩვენ, სერ ბობი ჩარლტონი, აქ, კუალა ლუმპურის ტყ კოშკის წინ კიდევ გიცხადებთ, რომ 2006 წ მსოფლიოს ჩემპიონატი ინგლისში გაიმართ ბავშვებო, თქვენხელა რომ ვიყა ვიცნე*

*სარეკლამო ტურნე გრძელდ*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge